


1935

საბავშვო



საბავშვო
№ 11

„პრონეკრი“

№ 11

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქ. განსახორციელებელთა
ურთხედო

ნოემბერი
1935

წელიწადი მე-11

გადაცემის მისამართი:

კიროვის ქ., № 7.

სახელგამი,

სსკ. და ახალ. საქმეები

შინაარსი:

1. თერამეტი (ლექსი) — გ. ქუჩიშვილისა	1
2. ნარინჯები (ლექსი) — გიორგი კაჭახიძისა	1
3. რატომ არის ჩიტბატონა ჭრელი და რატომ ვერ ჩნდება დღისით ბუ (გაგონილი ზღაპარი) — ნინო ნაკაშიძისა	1
4. თამაშობა (ლექსი) — გრიშა არახიასი	4
5. რახილ (მოთხ.) — დავით კასრაძისა	4
6. კვირეული (ლექსი) — შ. ეზრაიძისა	7
7. კრება (მოთ.) — ლავრენტი ჭიჭინაძისა	8
8. შემოდგომა (ლექსი) — ვერა შუბლაძისა	10
9. კოლოსა და ყაზახის საჩივარი (ხალხური) — თარგ. მეგრ. იასამანისა	10
10. ლევარსი როხროხაძე — ი. ხინველისა	10
11. ციტრუსების მხარეში (ლექსი) — ავთანდილ კაშმაძისა	11
12. ვაჟას (ლექსი) — ქეთო მღვიმელისა	12
13. წითელ არმიელები მყინვარწვერზე — ს. ყარალიშვილისა	13
14. სურათი (ლექსი) — სანდრო ფლენტისა	16
15. მწერლები ქვეშეთის პიონერბანაკში — შ. ძე.	17
16. ლიტურგიების მუშაობა პიონერბანაკში	18
17. ბავშვების აზრი საბავშვო წიგნებზე	18
18. კინო — ჯაქრო ხარშილაძისა	20

გაგონითა შემოკმელება

- | | |
|--|----|
| 19. პატარა გივი და გოლიათი (ფრანგულიდან) — ელისა აბრამიშვილისა | 23 |
| 20. ჯავა (ლექსი) — გიორგი ხერხეულიძისა | 23 |
| 21. შემოდგომა (ლექსი) — კაკო წერეთელისა | 23 |
| 22. შემოდგომა (ლექსი) — სიმონ ბარბაქაძისა | |
| 23. იცი თუ არა? | |
| 24. ამოცანა და რებუსები. | |

სარედაქციო კოლეგია

პ/მგ. რედაქტორი: აპ. რაზვიანისი.

პ/მგ. მდივანი: როდონ ქორთია

წევრები: ლ. რაზვიანი, ნ. ჩარკვიანი, გ. შუჩიშვილი, შ. თაბუკაშვილი, ე. ახვლედიანი.

სტილისტი: — შ. თაბუკაშვილი.

გამომცემი: ს. ხინჩია.


ოქტომბერის ცეცხლმა მშობა,
ოქტომბრის ცეცხლი მწრთენიდა,
მან მასწავლა მტერთან მტრობა,
მოყვასისთვის მოყვრად მზრდიდა.

ალარ ისმის ჩვენში გმინვა,
არც ჟღარუნი ბორკილ-ხუნდის,
დაგვეტოქათებს თავს გვირგვინად
ხუთქიმიან ვარსკვლავთ გუნდი.

თვრამეტი წლის ჭაბუკი ვარ,
მხიარული, ბედნიერი,
ჩვენს პლანეტზე მიმოვქრევიარ
და საბჭოთა მზეს ვუმღერი.

თუმც ფაშიზმი გვემუქრება,
არც დაცხრება იმის მნდომი,
მაგრამ ჩვენთან რას ვახდება,
აღიგვება ის ქვემძრომი!

8. ჭუჩიჯილი



ცივა უკვე. მალე დათოვს.
აგუზგუზდა ყველგან კერა.
გარეთ მწიფე ნარინჯები
ცას უმზერენ ოქროსფერად.
სურნელება დვას სოფელში
და სამო ჰაერს ვყნოსავთ.
ცივა, მაგრამ ლამაზია
დილით მორცხვი მზის ამოსვლა.
ამ დროს ფოთლებს მწიფე ნაყოფს
ნამი ფარავს, ნამი აზის.
მიხვალ ტოტთან, დაირხევა
და შრიალი ისმის ნაზი.
ახლა ცისქვეშ სხვაზე მეტად
ეს სურათი მოსწონს თვალებს.
როგორც ვხედავ, შეუუდგებით
ნარინჯების კრეფას მალე.

ენახავთ მაშინ ამ დოვლათით
სავსე გოდრებს, სავსე ძარებს.
გავირჯებით, და მცენარეც
ნაყოფს უხვად დაგვაძალებს.
სიყვარულით დავდებთ ამაგს
ამ კოლხიდის ოქრო ზვარებს,
ვაგონებში ჩავსვამთ ნაყოფს
და ქალაქში გავამგზავრებთ.
იქ დიდებით ის შემოსავს
ვიტრინების ფართო მინებს,
შეაჩერებს ყველა გამვლელს
და ბავშვივით გაიღიმებს.
გამვლელთაგან სუფთად, ფრთხილად
შინ წაიღებს ნარინჯს ბევრი,
და სიცოცხლეს შეაყვარებს
მისი გემო, მისი ფერი.

ბიოკრიტიკა

რატომ არის ჩიტგასტონა ჭრელი და რატომ ვერ ჩნდება დღისით გუ

(გაგონილი ზღაპარი)

ეს მოხდა...

უპ, რა დიდი ხანი გავიდა მის შემდეგ!

ეს მოხდა მაშინ, როდესაც ცეცხლი არ იყო
ქვეყანაზე, როდესაც ადამიანებს არ ჰქონდათ ტანი-
სამოსი, არც სახლები, ცხოვრობდნენ ტყესა და გა-
მოქვაბულებში.

აბა, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში
იქნებოდნენ ისინი, როდესაც მზე შორ-
დებოდა დედამიწას და თან მიჰქონდა სითბო და
ნათელი სხივები, როდესაც დედამიწა და ხეები თოვ-
ლით იფარებოდა და ირგვლივ ყველაფერი იყინე-
ბოდა!

რა უნდა ექნათ მაშინ ტიტველა, უსახლკარო
ადამიანებს? იმათ პატარა ბავშვებს? თქვენ უთუოდ
მიხვდით, როგორ ცახცახებდნენ ისინი სიცივისაგან
და შეგებრალათ კიდევაც.

ადამიანებმა არ იცოდნენ რა ექნათ, როგორ გაე-
დევნათ თოვლი და გაეთბოთ პაწია ბავშვები, რომ-
ლებიც დედებს ჰყავდათ გულში ჩაკრული.

ახლა ყური დამიგდეთ, რა მოხდა ერთ ძალიან
ცივ ზამთარში.

შეწუხდა ადამიანის ყურებით პატარა ნაცარა
ჩიტუნა, შეებრალა ისინი და მიფრინდა შაშვთან.
შაშვი სუროში იჯდა და სუროს მარცვლებს შეექ-
ცოდა.

— შაშვო, დავეხმაროთ ადამიანებს, — უთხრა მას ჩიტუნამ, — ხედავ, როგორ კანკალებენ სიცივისაგან და ტირიან! აბა ერთი შეხედე!

შაშვმა გამოყო თავი სუროდან, გადაწია კისერი და გაიხედა ხის ძირისაკენ, სადაც შარშანდელ სველ ფოთლებში შეყუჟულიყვნენ და ტიროდნენ ადამიანები.

— როგორ დავეხმაროთ? — თქვა შაშვმა და გაისწორა ნისკარტით თავისი შავი თბილი ბუმბული.

— არც მე ვიცი, — თქვა ჩიტუნამ, — მაგრამ, მოდი, დავუძახოთ სხვა ფრინველებსაც და ვკითხოთ, იქნება ვინმემ იცოდეს რამე.

და გაისმა ტყეში შაშვის მოსაწვევი სტვენა: იწვევდა ფრინველებს — ყველას, ყველას, ყველას.

ფრინველებმა ძახილზე დენა იწყეს. მოფრინავდა დიდი, პატარა, ლამაზი და უშნო. აღარ დარჩა იმ ახლომახლო ტყეებსა და მიდამოებში არცერთი ფრინველი, არწივიდან დაწყებული ჭინჭრაქამდის, რომ არ გამოცხადებულყო...

და დაიწყეს თათბირი.

— აბა, ფრინველებო, — დაიწყო შაშვმა, — ერთი შეხედეთ ამ საწყალ ტიტველა ადამიანებს, განა არ უნდა დავეხმაროთ?

— ოოჰ, რასაკვირველია, უნდა დავეხმაროთ!

— ჩვენ რით შეგვიძლია დახმარება?

— თუ ვინმემ იცის რამე, თქვას! — გაისმა აქეთ-იქიდან. ყველა ცდილობდა გამოეთქვა თანაგრძნობა, ყველას უნდოდა დახმარებოდა, მაგრამ როგორ?

მარტო ბუ იყო ჩუმად თავის სქელ ბუმბულში შეფუთვნილი.

— მზეა საჭირო.

— მზე? ვინ დააბრუნებს მზეს?

— ვინ დაეწევა მზეს? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ჩიტები.

— მე, მე დავეწევი მზეს, — თქვა ჩიტუნამ, — მე დავაბრუნებ მას, ანდა... — მან ველარ დააბოლოვა სიტყვა; ატყდა ფრინველების ჟრიამული. ყველა აქებდა მის გამბედაობას. ჩიტუნამ გაშალა ფრთები, აიწია და სწრაფად შეიფრთხილა ჰაერში.

— მომიცადეთ აქ! — გადმოსძახა მან მაღლიდან და თვალს მიეფარა.

ფრინველები უცდიდნენ სულგანაბულნი, მხოლოდ ბუ ადგა და წარმოთქვა:

— რა ჩვენი საქმეა ადამიანების დახმარება! ჩვენ ხომ თბილად ვართ რბილი ბუმბულით შემოსილი და ადამიანები რას გვენაღვლება?! — და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ მიმინომ რისხვით გადაუბრიალა თვალები, და შეშინებული ბუ დარჩა თავის ადგილზე, ბრაზისაგან თვალებდაქყეტილი და გაფხორილი.

ფრინველებმა იცადეს, იცადეს... სალამოს ბინდმა მოატანა კიდევაც, ნაცარა ჩიტუნა კი არსად

ჩანდა. ფრინველები ღელავდნენ. ადამიანები კი ისევ კანკალებდნენ სიცივისაგან, ხის ძირში მიყუჟულნი.

კა კიდე უფრო ჩამობნელდა, მაგრამ მათ უცებ დაინახეს, როგორ გამოფრინდა ხიდან ჩიტუნა ყვირილით:

— მომაქვს! მომაქვს! მომაქვს!

მართლა მოჰქონდა ცეცხლის ზოლი, რომელიც იკლავებოდა ჰაერში და ელავდა. ცამ დაიგრუხუნა, გავარდა მეხი, და ჩიტუნამ ესროლა ცეცხლის ზოლი ერთ დიდ ხეს ტყეში. ცეცხლმა იფეთქა, ხე აინთო. აგიზგიზდა მხიარული ცეცხლი, და იწყო თოვლმა დნობა.

ადამიანები ყვირით გაიქცენ ცეცხლისაკენ.

— ვაი, ვაი, დავიწვი! — გაისმა ჩიტუნას ხმა.

ფრინველები გაქანდნენ, მაგრამ სადღაა ჩიტუნა? არსად ჩანდა.

— აქა ვარ, აქა! — დაიძახა მან. — მე მოვსტაცე მზეს ცეცხლი და მოვიტანე! ხედავთ, როგორ დნება თოვლი! მაგრამ მე დამწვა მზემ. ბუმბული სულ შემეტრუსა, ფრენა აღარ შემიძლია, კვკვები...

ფრინველებმა ახლა შეამჩნიეს პატარა გმირი ჩიტუნა, სრულიად ტიტველა, შეტრუსული რომ ეგდო თოვლიან ტალახში.

— ააჰ! — ამოიკვნესეს ფრინველებმა.

— ოჰ, არა! — დაისტვინა შაშვმა, — შევემოსოთ, შევემოსოთ, გადავარჩინოთ გმირი ჩიტუნა!

მან გამოიძრო თავისი საუკეთესო შავი ბუმბული და გაუკეთა ჩიტუნას.

— შევემოსოთ, შევემოსოთ! — გაისმა ყოველი მხრიდან ფრინველების ჟრიამული, და ყველამ, ყველამ, ყველამ გამოიძრო თითო საუკეთესო ფერადი და ლამაზი ბუმბული და... შემოსეს ჩიტუნა!

— რა ლამაზია! ნამდვილი ჩიტბატონაა!

— როგორ დამშვენდა მოლაღურის ყვითელი ბუმბული!

— ნახეთ, მწვანე თუთიყუშის ბუმბული როგორ ლაპლაპებს!

— აი აქ გაუკეთე, გულწითელავ, შენი ბუმბული!

— აქ შენი, ოფოფო!

— აქაც მტრედის!

— აჰა, მზად არის?

— ყველამ მოიტანა. მხოლოდ, აი, აქ ერთი ბუმბული აკლია.

— ბუს არ მოუტია ჯერ, ბუს!

— აბა, ბუ, ბუ მოვიდეს!

— ბუ, ბუ, ბუ! — ძახილდნენ ფრინველები.

— არაფერსაც არ მოვიტან! — თქვა ბუმ.

— ააჰ!

— ოოჰ!

— არ მოიტან?

— ჩიტბატონასთვის? გმირისათვის? ერთ ბუმბულს? მზეს რომ ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მოუტანა? ხედავ, როგორ გამხიარულდნენ, როგორ თბებინ ცეცხლზე!

— მერე რა, მე რა მენაღვლება? — ჩაიხითხითა ბუმ.

— მაშ ბუმბულს, ერთ ბუმბულს ვერ იმეტებ, არ აძლევ?

— არ ვაძლევ, არ ვიმეტებ! მე თვითონ მინდა!

— არ აძლევ და მე შენ გიჩვენებ! — დაიჭყვივლა ჭინჭრაქამ, — მე შენ გიჩვენებ! ისე ვაგწიწკნი, რომ... — და წამოხტა საცემად.

— ვეცეთ მაგას, მართლა ვაგწიწკნოთ! ეს ჩვენი ამხანაგი არ არის! არ გვინდა ამისთანა ამხანაგი!

აღშფოთებული ფრინველები წამოცვიდნენ, მაგ

ბუმ გამოყო თავი ფულუროდან, მაგრამ ფრინველები მივარდნენ, და ისეგ დაიმალა.

შხიარული ჩიტბატონა ლალად დასრიალებდა ჭაღლი ერში და ვალობდა.

ყველა ალტაცებით შესცქეროდა მას და თვითონაც მოუნდათ ჰაერში განავარდება, მაგრამ ბუ?

— ჩვენც გავინავარდოთ! — დაიჭახჭახა შაშვმა. — დავტოვოთ ბუ, იყოს ფულუროში. მაგრამ თუ გამოვიდა, ვინც დაინახავს, მაშინვე დაგვიძახოს, შეგვეყაროს და მაშინ ვიყაროთ ჯავრი!

— მე მომანდეთ, მე დაგვიძახებთ! — თქვა ჩხიკვმა.



რამ ბუ უცებ წამოვარდა, იქვე ხის ფულუროში ჩავარდა და ჩაიმალა.

— სად წახვალ, ხომ გამოხვალ მანდედან!

— სულ მანდ ხომ არ იქნები!

— ნახავ, რა დღეს დაგაუკნებთ!

— შენ ჯავრს კი ვიყრით!

ყვიროდნენ, ჭყიოდნენ, წრიბინებდნენ, უსტვენდნენ, ჟღურტულვებდნენ ხის ფულუროსთან თავმოყრილი აღშფოთებული ფრინველები.

ჩიტბატონა კი იჯდა ტოტზე, ერთი ბუმბული აკლდა, ბუს ბუმბული, რომ შესძლებოდა ჰაერში განავარდება.

— აი, მე მივცემ კიდევ ჩემ ნაცარა ბუმბულს, — თქვა ტყის ქათამმა, გამოიძრო და ფრთის ქვეშ გაუყეტა ჩიტუნას თავისი რბილი ფაფუკი ბუმბული.

ჩიტუნამ გაისწორა ფრთები და მალა შეიფრთხილა.

— ოჰ, რა ჭრელი და რა ლამაზია! ნამდვილი ჩიტბატონაა, ნამდვილი! — იძახოდნენ ფრინველები.


— მეც, მეც დამავალეთ! დაიყრანტალა ყვავმა. ფრინველები გაფრინდნენ.

ბუმ ისეგ გამოყო თავი ფულუროდან, მაგრამ ჩხიკვმა და ყვავმა მაშინვე ატეხეს განჯაში, მათ დაეხმარა კოდალაც და ისე მაგრად ატეხა ხეზე კაკუნი, რომ შეშინებული ბუ ისეგ ჩაიმალა.

დალამდა. ფრინველებმა და ჭიკლუამ დაიძინა. ბუ დიდხანს ვერ ბედავდა ფულუროდან გამოხედვას, მაგრამ ბოლოს გამოიხედა და როდესაც დარწმუნდა, რომ ახლომახლო არავინ იყო, ნელა ამობობლდა ფულუროდან, გაისწორა ფრთები და ფრთხილად დაიწყო ბნელაში საჭმლის ძებნა...

და აი სწორედ მასაქეთაა, რომ ბუ ფრინველების შიშით დღისით ვერ ჩნდება და მხოლოდ ღამით გამოდის საჭმლის საძებრად.

ენო ნაკაზიკი



თინა, კოტე, გივი და ზინობია
ძმასთან თამაშობენ ჩელუსკინობიას.
პატარა ინჟინერ კოტიკოს გეგმით,
ერთ დღეში ააგეს ლამაზი გემი.
ყმაწვილთა ჟრიაბულს ყურს ხშირად მეც ვუგდებ,
ვიხილევ: პირდაპირ შუა ტბაში შეცურდენ...
კაპიტანმა ზღვის ლელვას ყურადღება მიაქცია...
ჩვენს ჭკვიან გივიკოს თავი შმიდტად მიაჩნია.
მოპარა ბებიას, როცა დრო იხელთა,
და მატყლის წვერი პირზე გაიკეთა.
მიდიან, მღერიან წყალში მეზღვაურნი,
ნაპირს გააღვიძებს ნორჩების ხმაური.
თითქოსდა თეთრ დათვის ხმა ესმათ საზარი,
ბავშვების სიხარულს არა აქვს საზღვარი.
ერთმა თქვა:—„ბიჭებო, დე ვიყოთ მზად და მზად!
თითქოსდა ყინულებს გამსხვრევდეთ გზადაგზა!
ვითომცდა ზღვის ღორებს ტყვიებით ვცხრილავდეთ!
ო, რა დიდებულად, რა კარგად ბრწყინავს დღე...“

იმედი, და არა შიშზე ლაპარაკი!
გემი დაილუბა,—იცოცხლებს ბანაკი!“
ყინული, ყინული... ნამქერი... ქარბუქი...
პატარას გული აქვს ოცი წლის ჭაბუქის.
ელვარებს ოთარის ლოყები ვარდისა,
მან თავი ჩათვალა გამოცდილ რადისტად.
— თქვენ, ჩვენო მშობლებო, არ მოკვდეთ დარდითა...
ალო... კარგად ვართ... არქტიკა... არქტიკა...
ხუთი წლის ბიჭუნა ნიჭიერ კოლიას
ბანაკში ბუნჩულა ლეკვები ჰყოლია.
ტბასთან იმღერიან მოწკრიალე ხმებით
ჩვენი პაწაწინა ჩელუსკინელები.
მათ თვითმფრინავების ჰქონიათ მოდელი,
გვერდებზე მიუკრავთ გმირობის ორდენიც.
ქეთომ თქვა:—გადავრჩით, გვიშველა მთავრობამ!
მარად წინ ვიაროთ, შენ, ჩემო თაობაე!
გმირები შევამკოთ ია და ვარდითა,
უენებლად დავბრუნდით! დავიპყრობთ, არქტიკაე!
გრ. აროსნი

რ ა ხ ი ლ

(დასასრული)

მტკიცედ გადაწყვეტიტე ბავშვი შინამდის მიმე-
ცილებია. გზადაგზა უფრო დაკვირვებით დავაცქერ-
დი და მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ დაფლეთილი
ჩითის კაბიდან აშკარად უჩნდა გაყვითლებული ხორ-
ცის კანი. ფეხები ჭუჭყისაგან ისე გაშავებოდა,
თითქოს წუმპიდან ამოსულაო. არც თუ გზადაგზა
მინახავს გულგასახარელი. საოცარია: თითქოს ამ
პატარა დაბის ყველა სახლი კარგად ვიცოდი და
მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ მთელი ურიათ უბნის
მიგრებილ-მოგრებილი ქუჩაბანდები და საცხოვრებე-
ლი სახლები მხოლოდ სიგლახაკისა და სისაწყლის
გამოფენას წარმოადგენდა.

— რა საშინელებაა! — უნებურად აღმომხდა გუ-
ლიდან და ხარბად დავიწყე აქეთ-იქით მზერა. შიმ-
შილი, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სიგ-
ლახაკე აღბეჭდვოდათ ბავშვებს, აჩრდილივით მო-
სიარულე ქალებს, გაძვალტყავებულ მამაკაცებს.

გამხდარი და გაყვითლებული ხალხი დაფუსფუ-
სებდა ჭუჭყიან ქუჩებში. ყველანი ერთმანეთს ეკვრო-
დნენ, ხმამაღლა თითქოს რალაცას დავობდნენ, ჭიკჭი-

ყებდნენ, თითქოს თავიანთ სისაწყლზე სასოწარკვე-
თილებით იწყევლებოდნენ.

დაბრეცილი და უბედური ქოხმანები მათი უნუ-
გეშობის ძეგლად ამართულიყო. გაეოცდი, რომ ამ
დროს მოჩვენებათა ასეთ საშინელ უბანში რომელი-
ღაც სარდაფიდან ვიღაცამ დოღს შემოკრა და ბა-
იათები დაიმღერა.

— ნუთუ არიან ისეთები, ვისაც აქ ქეიფი შე-
უძლია? — ვავიფიქრე. — საშინელებაა, საშინელება...

თვალს არ ვუჯერებდი, ხშირად საძაგელ სიზ-
მარში მეგონა თავი. განა არ შეიძლება, რომ ტკბილ
სიზმრებს ზოგჯერ ჯოჯოებიც ეახლონ და აღქაჯე-
ბის დავლურით დავგინგრიონ ოცნების კოშკი?

აი, პატარამ შეაჩერა აჩქარებული ნაბიჯი და
ერთი მიწური სოროსკენ მიტრიალდა, რომლის
ზღრუბლზე მუცელკამოვარდნილი ბავშვი იჯდა,
თითქმის მთლად შიშველი, ჩაწილული გაჩეჩილი
თმით, და მაღიანად ტლაკავდა ლობიოს.

იქვე ჩაზინტლული ქალები გობს მისჯდამოდენ და ჭუჭყიან სარეცხსა რეცხდენ.

— რა იქენ, ნაყომა? — იძახდა ვილაცა.

საიდანდაც ერთმა ამოჰყო თავი აჩრდილივით და მამალი ამოეღლიაგებია ხახამთან წასაყვანად.

სინალოლა თავისი აღნაგობით მედიდურად დაჰყურებდა ამ სისაწყლისა და უბედურების საშინელებას.

იქვე გადმომდგარი რაბინი იცკა კიკინების სწორებით იღიმებოდა, დამრგვალებულ გვაშზე ნებიერად დაეწყო ხელები და მრევლს მოთმინებას უქადაგებდა.

პატარა ბიჭმა ჯამი მთლად გამოლოკა, ზოგიც ყბებს შეაჭამა, როცა ჩემმა თანამგზავრმა პატარა გოგონამ კვერეული მისთავაზა.

— აი, ლა მოგიტანე, მისაილ!

— უი სენისა! — შესძახა ბიჭიკომ და კვერი იმდენად ჩაკბიჩა, რომ კინალამ დაიხრჩო.

ამის დანახვაზე სოროდან კიდევ ექვსი თუ შვიდი პატარა ბავშვი ამოვიდა. ყველანი მისცვივდენ გოგონას და კინალამ კალთები დააგლიჯეს.

— ლახე, მე მომე... მე...

— ალა, მე... ალა... მე... — გაჰკიოდა მეორე.

ზოგიერთს არ შეხვდა კვერეული. ერთმანეთს ეძგერნენ, შეიქნა ტაციობა, ყურთაწევა, ტირილი, ცემა-ტყევა.

ხმაურზე მოხუცებული კაცი ამოძვრა სოროდან, მუხლებამდის დაშვებული თეთრი წვერი სიბერისაგან გაჰყვითლებოდა.

ჯერ შეშფოთდა მოხუცი, ბავშვები რაზე ჩხუბობენო, შემდეგ ყველანი მოარიგა, ბოლოს გოგონას მოუბრუნდა.

— ვინ მოგცა, რახე?

— აი, ამ კაცმა...

მოხუცმა გაოცებით მომაჩერა თვალები.

— უკაცრავად, მე თქვენ... ვინა ბრძანდებით?

— ადამიანი, უბრალო ადამიანი, ძია.

ის შეტორტმანდა, რალაცა უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დავაჯადე:

— ვგონებ ამ ბალებს არ ეყოთ ეს კვერეულეები. აჰა ესეც... ბოდიშს ვიხდი, მეტი აღარ აღმომაჩნდა.

ჯიბეში რაც ფული მქონდა, სახელდახლოდ ხელში ჩავუდე მოხუცს და აჩქარებული გაგშორდი იქაურობას.

ქუჩის ბოლოს უნებლიედ მოვიხედე: იგივე მოხუცი გამოწვდილი ხელით გაშეშებული იდგა.

დიდმა ხანმა განვლო მის შემდეგ. მე ჯარში წამიყვანეს. ომში თითქმის ყველა ფრონტზე ვიღებდი მონაწილეობას. ტყვეობაც გამოვცადე და ჭრილობის სიმწარეც, მაგრამ ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, რომ ადამიანი ადამიანზე ნადირობდა.

ჭირივით შემძულდა თოფიც და თოფის მომგონიც.

შემდეგ შევესწარ სამოქალაქო ომებს და იქტომბრის რევოლუციას.

მე მაშინ მივხვდი, რომ თურმე არაფერიც არ მცოდნია. ამოა გამოდგა ჩემი განვლილი სწავლა დაბალი სასწავლებლით დაწყებული და უმაღლესით გათავებული.

იმ მოკლე ხანში მეც და ჩემთან ერთად მილიონი ხალხი ერთ კვირაში ბევრად მეტს გავდიოდით, ვიდრე ჩვეულებრივ დროს მთელი წლების განმავლობაში.

ჩვენთვის ნათელი შეიქნა, თუ ვინ გამოსულიყო საბრძოლველად, ვინ ვის იცავდა, რას ებრძოდა.

მივხვდი იმასაც, თუ რატომ იყო, რომ ყველა ჯურის იმპერიალისტებმა ასეთი სასტიკი ცოფმორვეით დაარტყეს რკალი საბჭოთა კავშირის მოსახელობად.

მაგრამ რკალი გაირღვა. პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. განა ჩიჩინი უნდოდა, რომ მეც იმათ მხარეზე ვიქნებოდი, ვინც სისაწყლისა და სილატაკის მოსასპობად იბრძოდა?

და მეც ვიბრძოდი გაშმაგებით. დაწვინაურდი. რევოლუციის ქარტეხილებში გამარჯვებული გამოვედი. შემდეგ ზომ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი ფართოდ გადამეშალა და მალე დიდი თანამდებობის კაციც გავხდი.

დიდი შეჩვევა იცის იმ სახლმა, სადაც დაიბადეთ და პირველი ბავშვობა ვაატარეთ, იმ კარმიდამომ, სადაც დათამაშობდით, იმ უბანში, რომელსაც პატარაობისას თანშეზრდილი ამხანაგები იკლებდით, იქ სოფელმა... იმ კუთხემ... იმ მხარემ... არა, სად ჩამოვთვლი! სადაც სიყრმე-სინორჩე ვავიტარებია, იქ მოქსოვილია თქვენი გრძნობების ლამაზი ბუდე. ამიტომაც დიდად გავიხარე, როდესაც ჩვენი დაწესებულებიდან ცხინვალს მიმავლინეს.

მაინცადამაინც რა უნდა მენახა იქ, რომ ისე მიმიხაროდა:

ძველი სისაწყლემ? მინგრეულ-მონგრეული სოროები? ლაფით მოსვრილი ორღობეები, სადაც ცხენიან კაცს უჭირდა გავლა? აძონძილ-დაძონძილი მოსახლეობა? მთებიდან ჩამოსული საწყალი ოსი, ერთი ბუმბულა ყველი რომ გროშის ფასად გაეყიდა და საქალამნე ტყავი მაინც არ მოსვლოდა? მაგრამ მაინც მიმიხაროდა. ხუმრობა ხომ არ იყო, თითქმის ოცი წელი გადავლახე და ამ საყვარელ კუთხეში აღარ ვყოფილვარ!

ჯერ გორის სადგურმა გამაკვირვა: იქ ეტლების ნაცვლად ავტობუსები დამხვდა.

— ნუთუ ცხინვალში ავტობუსი მუშაობს? — შევეკითხე შოფერს.

— ჯერ ერთი, ცხინვალი აღარ არის, — ის უკვე სტალინირია. მეორეც — რატომაც არა, ავტობუსს რა დაუშლის, რომ იქაც იაროს?

— ჰო, მაგრამ გზა...

— ო, ამ მხრივ თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენი გზა იშვიათია...

— ნუთუ?

— აი, ნახავთ!

მართლაც იშვიათად მისიამოვნია ისე, როგორც ამ ახალი გზატკეცილით. როგორ მისრიალებდა ჩვენი ავტობუსი, პირდაპირ მიფრინავდა!

გზადაგზა ბევრი რამ შეუცნაურა თავისი წარწერებით და ხეხილის ბაღებით, მაგრამ მე ისევ ცხინვალთან ვიყავი, მაინცა და მაინც ჩემი თვალი შორს-შორს რბოდა, ჩაშავებულ წერტილში, სადაც ღიახვის ხეობის მთავარი კარი იღებოდა.

აგერ მივადექით ზღუდრის გვერდას. აქედან ცხინვალის პანორამა დიდებულ სანახაობას წარმოადგენს.

მაგრამ... სად არის ძველი ცხინვალი? თვალს არა სჯერა! ცხინვალი აღარ ცხინვალობს! ზღაპარია თუ ლამაზი სიზმარი? სულ ახლადგაყვანილი ქუჩები... სწორი, ლარსავით გაჭიმული... სულ ახალ-ახალი შენობები, ევროპული სტილის აღნაგობა... აგერ კულტურისა და ხელოვნების სასახლეც, რა იშვიათი სანახაობაა! აგერ ბანკი... აგერ, ეს გაერთიანებული კოოპერატივები... და იმავე დროს ხალხი, ახალი ხალხი, ჯანსაღი, მხიარულად მომზირალი...

— ვიშ, ნუთუ ეს ცხინვალია?

— არა, სტალინირი გახლავთ, — კიდევ შემისწორა ზოფერმა, და მეც გადმოვხტი.

თითქმის ერთი კვირა დავყე. მივლინების ვადა მითავდებოდა, მოვრჩი საქმეებს და უკვე წამოსასვლელად გავემზადე, რომ უცბად ერთი პორტფელიანი ქალი წამომეწია და თვალეზში შემომამცქერდა.

— თქვენ? ბოდიშს ვიხდი, ვგონებ ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ, — მითხრა მან, — აქაური არა ბრძანდებით?

— დიახ, აქაური. თუმცა დიდხანია არ ვყოფილვარ.

— ჰო, მეც აგრე ვფიქრობ... ოციოდე წელი უნდა იყოს.

გამაკვირვა ქალის ცნობისმოყვარეობამ.

— უკაცრავად, ვინა ბრძანდებით?

ქალმა ჩაიღიმა.

— პატარა ქურდი აღარ გახსოვთ?

— ვინ პატარა ქურდი?

— რახილ... ერთხელ კვერეულები რომ მიყიდეთ და მედუქნებმა ქურდობა დამწამეს... ის აი აქ იყო... ის დუქნები აღებულა და ახლა ჩვენი არტელი მუშაობს სრულიად ახალ შენობაში.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ?

— დიახ, დიახ, ის გახლავართ... ნება მიბოძეთ, ახლა მაინც გადავიხადოთ მადლობა...

მხურვალედ ჩამომართვა ხელი.

— რასა ბრძანებთ, ეს ჩვეულებრივი ადამიანური დახმარება იყო, — მივუგე მას.

ქალი არ ისვენებდა. მას თვალეზზე ცრემლები ეკი მოადგა. გაიხსენა წარსული. შიამბო, რა საშინელ სიღარიბეში ამოჰხდომოდა სული მის მამას, დედას. იმდენი და-ძმიდან მხოლოდ ორნი დარჩენილიყვნენ, მიხაილი და თვით ის — რახილი.

— ახლა მე ბედნიერი ვარ, — განაგრძობდა, — ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე გაგვადამიანა... დააარსა ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც სასწრაფოდ აღმოფხვრა ჩვენში უცოდინარობა. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ დაგწინაურდი, შევადგინე ებრელ ქალთა ნადი, შევასწავლე ქსოვა, ახლა მე თვითონ ვებრძვი უცოდინარობას...

მან იმ დღესვე დამათვალაიერებინა მქსოველ ქალთა ნადი. ებრაელი ქალები სუფთად დაწკვილიყვნენ და მანქანას უკვე გაეარჯიშებული ხელით ატრიალებდნენ.

შემდეგ თვისთან მიმიპატივა:

— თუ არ ითაკილებთ, მითხრა მან, — წამობრძანდით ჩემთან... თქვენ გზას ადგიხართ და პატარა საუზნე მოგიხდებათ.

ათ წუთში უკვე სუფთად მილაგებულ ოთახში ვისხედით, რომლის კედლებსაც ამშვენებდა ლენინისა და სტალინის პორტრეტები.

— ესენი ჩემი ხელით მოგქსოვე, — მითხრა მან.

— ნუთუ მართლა? რა მშვენიერია!

— დღე და ღამეს ვასწორებდი... მთელი ჩემი გრძნობები და სიყვარული შიგ ჩავაქსოვე... განა რით შეუძლია პატარა ადამიანს ამ ბელადებს გადუხადოს მადლობა?! მაგათ აღგვადგინეს... ადამიანის სახე მოგვეცეს... ახლა ჩვენ აღარ გვეყოლება აღარც ბედგამწარებული შამუელა და არც რებეკა... უბედურები, რა საშინელ ტანჯვაში დალიეს სული...

მან ცრემლი მოიწმინდა და დიასახლისობას მიჰყო ხელი.

ვიდრე ის მეორე ოთახში დატრიალებდა, დიდხანს არ ვაშორებდი თვალს კედლის ორ მშვენიე პორტრეტს. მართლაც რაოდენი სიყვარული იყო შიგ. ჩაქსოვილი, რა სისათუთით იყო ამონეშისილი თვითეული ძაღვი! ვინ იცის, რამდენი ღამე გატეხა, ვიდრე ამათ მორჩებოდა!

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, პატარა დიასახლისი შემოცქრილდა თეთრი წინსაუარით და მსუქანი ერბოკვერცხი გამიწყო თოვლივით თეთრ სუფრაზე.

— გახსოვთ, ჩვენი პირველი გაცნობა ერბოკვერცხით დაიწყო, ცხოვრებას ანგარიშის გასწორება უყვარს. მე ჩემს პირველსა და უსაყვარლეს ვალს ვიხდი.

— ევ დაყვედრება იქნება, რახილ!

რახილმა გაიღიმა.

— არა, ეს იქნება მოსიყვარულე დის უღრმესი პატივისცემა მოაპაგე უფროსი ძმისადმი!

— თუ ასეა, გმადლობთ, რახილ, გმადლობთ! ამასობაში ერთმა ტანოვანმა ვაჟკაცმა შემოიხებდა კარებში.

— ვიშ, ავერ მისაილიც! — შესძახა რახილმა.

რახილმა უმაღლე გააცნო ჩემი თავი.

— აი, მისაილ, ეს ისაა, რომელსაც ჩვენ ოჯახში ხშირად იგონებდა საწყალი მამა, — ისე გამეჭკა, რომ მადლობის თქმაც ვერ მოვასწარიო.

კვლავ გაიხსენა კვერეულების ამბავი. მისაილსაც თურმე კარგად ჰხსოვებოდა, უმცროს და სარასთვის თემები როგორ დაეგლიჯა და ხელიდან გამოეტაცნა მისი წილი კვერეულის ნატეხი.

შემდეგ გამაცნო თავისი თავი:

— ახლა მე კარგა შეძლებული კოლმეურნე ვარ, საქმე კარგად მიგვდის. შე მოდგომაზე ცოლსაც შევირთავ. ცოტა ამ რახეს ბედი მალონებს: როგორც ლაც გასათხოვარი მრჩება.

რახილმა ძმას საყვედურით გაჰკრა ცხვირზე თითი.

— რამდენჯერ მითქვამს, ჩემ საქმეში ნუ ერევი მეტი.

პატარა ხანს უკან სამიგენი ავტობუსთან ვიყავით. მალე ერთმანეთს მხურვალედ დავემშვიდობეთ, როგორც უგულითადესი მოსიყვარულე და-ძმები.

ზღუდრის გვერდსაც შევეუდექით, მაგრამ რახილი არ იძვრებოდა ადგილიდან და ხელსახოცის ქნევით გზას მიმშვიდობებდა.

დ. კასრაძე

კ ვ ი რ ე უ ლ ი

დილა ბავშვთა კვირეულის მეხუთმეტედ მოცქირიალდა, ღამის ნისლი მიღეული გადირეკა მთების ფარდად. და მდინარედ მთაგარე ქუჩებს მოეგლინა რაზმზე რაზმი, ჩვენ სიხარულს აჩუქებდნენ მათი მწყობრი სილამაზით... მოდის როგორც აღტაცება მათი ხმა და სიმღერები, შეჰხარიან ვაჟკაცობას, მასზე ლექსი ისმის ქეპის. მკერდებს სიო უთამაშებს ელვასავით ყელსახვევებს, მოდის რაზმზე მწყობრად რაზმი, დროშების ტყეს მოარხვენ... მღერის გრძნობით, გატაცებით ბავშვობა და სიჭაბუკე, ყოველი დღე ჩვენს გულეში სიხარულად ჩააშუქებს! მოდის მწყობრი ხვალინდელ დღის ასე ერთად, ასე მტკიცედ... ვინ გინდათ, რომ აქ არ არი! ვხელავ ნორჩებს, ჯმუხა ბიჭებს,

და გოგონებს პირზე ღიმი დილასავით უთამაშებს. მომავალის დვას ციმციმი, სიხარულის გრძნობით სავსე. გულში ჩასხდენ სურვილები გმირობის და თავდადების. ჰა, მფრინავი პატარები, მეგობრები, ათასები... მღერის გრძნობით, აღტაცებით ბავშვობა და სიჭაბუკე, ეს ზეიმი ჩვენს გულეში სიხარულად ჩააშუქებს... ღონეს გვმატებს სწავლისათვის კვლავ ჩვეული გატაცებით, ძალას გვმატებს, მოგვიწოდებს: მოვიგონოთ ჩვენი ძმები, სადაც ბავშვთა კვირეული, ბავშვთა ბრძოლა კაპიტალთან მეხუთმეტედ გაიმართა, მეხუთმეტედ ხელს აღმართავს. დარეკს ჟამი, ჩვენ ზეიმით ჩაგრულ ძმებთან შევერთდებით, და ზარივით იწკრიალებს ბედნიერი ბავშვთა ხმები.

მ. ეზრალიძე



(წიგნიდან „ზარმამი“)

სოფლის კანცელარიის ეზოში უცხო კაცები იდგნენ. ლამაზად ეცვათ და წყნარად საუბრობდნენ. გლენებიც იქვე იყვნენ მახლობლად, გაკვირვებით უცქეროდნენ.

— თუ ძმა ხარ, ერთი შენ მაინც მითხარი, ეს ხალხი აქანა ამდენხანს არ ყოფილა და ახლა რის მაქნისია? — წაუფურჩულა ერთმა გლენმა მეორეს.

— რაი მერე, ამდენხანს რომ არ იყვნენ, ახლა მევიდნენ. ეს კრება ამათი მოწვევულია, ყური დავუგდლოთ. ეგება კაი რამე გვითხრან, — დაბალი ხმითვე უპასუხა მეორე გლენმა.

უცხო ხალხთან ლენინო კურტანიძე ახლოს დადგა, წინ თავისი გრძელი ყავარჯენი დააყუდა, თვითონაც ზედ დაეყრდნო. ღრმა ფიქრებში იყო გართული.

ლენინომ გვიან მიიქცია უცხო კაცების ყურადღება, დინჯად ჩაახველა და წყნარად გადადგა ცალი ფეხი მათკენ.

— ბიძია, როგორც გეტყობათ, ნასწავლი ხალხი ბრძანდებით, მარა მაინც მიკვირს... — აზრი აღარ დაამთავრა, თავი გვერდზე მიიღო და აღმაცერად გახედა უცხო პირებს.

— რეიზა გიკვირს, ბიძია, რა გიკვირს?

ლენინო წელში გასწორდა, ირგვლივ მიმოიხედა და მოხუცებულის კილოთი დაიწყო:

— შვილებო, ერთი ძველი ამბავი უნდა გითხრათ: თურმე ყოფილა იმისთანა დრო, როცა საქართველო რამდენიმე სამეფოდ იყო დაყოფილი. ჩვენი იმერეთიც ერთი სამეფო ყოფილიყო... მე უნდა გამოგიტყდეთ, ერთი გამოუსვლელი გლენიკაცი ვარ, ისტორიის კი არაფერი გამეგება, მარა თურმე იმერეთის რომელიღაცა მეფე რჩეული მეომრებით სამეგრელოს მთავარს მიშველებია. ისიც ცალკე სამეფო ყოფილიყო. ბრძოლაში იმერეთის მეფე მოეკლათ. ქვეყანა უმეფოდ დარჩენილიყო. ეს ამბავი პირველად გადაცვლილი მეფის მახლობელ კაცს გაბეხაძეს გაეგო. უპატრონო ქვეყანას დაჰპატრონებოდა, თავი მეფედ გამოეცხადებია. გასულა დრო, გამოჩენილა ვიღაც გაბეხაძეზე უფრო ძლიერი, ჭკვიანი და მოხერხებული კაცი. მას შეეკრიბა თავის ამაღლა და გაბეხაძეს ხლებია. გაბეხაძესთვის შეუყვრიანა:

— გაბეხაძე, შენ ვინ მოგცა მეფობა?

საწყალ გაბეხაძეს შეშინებია, ტანში კანკალი ავარდნია.

— ეგდო, ბატონო, და ავიღე.

— გააგდე ახლავე!

— გამიგდია, ბატონო... ნუ მომკლავთ...

ლენინომ იგავი დაამთავრა, თანაც დაუმატა:

— რაზეც წელი არ გტკენია, არ შეგერგება!

ბოლოს მოხუცის ჭკვიანმა თვალმა ყველას სახეზე შემოიარა, თითქოს მათი გულის ზრახვების გაგება სურდა, მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ხმაც აღარ გაუღია.

უცხო კაცებმა ერთმანეთს გადახედეს და თვალებით გაისაუბრეს.

ისინი დიდხანს იდგნენ წყნარად, ბოლოს ერთმა დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— რაცხა აწუხებს, იმიზა ლაპარაკობს.

— იჰ, მაგიზა გცალია? გადაყრუებული გლენია. ჩვენ შესანიშნავ დროში მოგხვდით.

ლენინომ უცხო კაცების ლაპარაკი თითქოს ვერც გაიგო, მას თავისებური წინათგონობა ჰქონდა.

კრებას ბევრი ხალხი ესწრებოდა.

პირველად უცხო კაცებმა ილაპარაკეს.

ისინი სიტყვახევაგრიელი ორატორები აღმოჩნდნენ, სიტყვებს შადრეგანივით აფრქვევდნენ. თავი ამაყად ეჭირათ. ისე თამამობდნენ, თითქოს ცა ქულად არ მიაჩნდათ, დედამიწა ქალამნად.

ლენინო მძიმედ აკანტუნებდა თავს, ვერ ხიბლავდა ლამაზი სიტყვები და გვერდით მდგომთ ხშირად უმეორებდა:

— ახალი ცოცხი კარვად გვის, ბოლოს მოატანს ქვიშასა.

ორატორები ხმას უფრო იმაღლებდნენ.

— აღარ გვადგია მძიმე უღელი! დაეზო რუსეთის თვითმპყრობელობა! დღეის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიქნებით, ვიცხოვროთ თავისუფლად...

კრებას ვასოც ესწრებოდა, იდგა ამხანაგებში და ორატორის სიტყვებს კენჭებივით იჭერდა.

— ბიჭო, თუ დაუკვირდები, ეს კაცი რაღაცა კაი რამეებს კი ლაპარაკობს, — თქვა ვასოს გვერდით მდგომმა ახალგაზრდამ.

ვასომ გაიღიმა.

— კრება გათავდეს, ჩემ აზრს მერე ვიტყვი.

ორატორი ორატორს ცვლიდა.

ბოლოს ადგილობრივებმაც ილაპარაკეს. ხალხში კმაყოფილების გამოძახატველი სიტყვები აქა-იქ გაისმოდა. შთაბეჭდილება თითქმის კარგი იყო, მაგრამ...

სცენაზე ზოსიმე მღვდელი გამოჩნდა. ხალხის უყმაყოფილო ხმამ ზუზუნით ჩაიარა.

— ესეც ახალი თაობის კაცია? — იკითხა ისევ ვასომ.

ლენინო გაკვირვებით იცქირებოდა, რადგან მღვდლებსა და ეკლესიაზე კარგი შეხედულების ალარ იყო.

ზოსიმემ, თითქოს ეკლესიაში შევიდაო, ჯერ პირველი გამოისახა, მერე საეკლესიო ბოზი ხმით დი-იწყო:

— ღვთის მოსაგნო, ისმინა ღმერთმა ჩვენი ლოცვაი, რამეთუ მადლი ღვთიური ჩვენ მოგვენიჭა, გვმართებს ვედრებაი მისდამი მორჩილებითა და მოკრძალებითა! აკურთხე, უფალო, ერი შენი და ჩვენი ახალი ხელისუფლების წარმომადგენელი! — და თვითონაც მათ გვერდით დადგა.

ზოსიმეს სიტყვებს უცხო პირების ტაში გამოეხმაურა, მერე ერთ-ორგან ხალხშიც გაისმა ტაშის ხმა.

კრება დამთავრდა. გლეხები წავიდენ შინისაკენ. ბილიკებს მუსაიფით მიჰყვებოდენ.

ვასო არ იყო კმაყოფილი.

— მაგათ ლაპარაკს მაშინ დავაფასებდი, მღვდელი რომ არ გამოეყვანათ, მერე ტაშიც დაუკრეს. ზოსიმე გუშინ მეფეს უგალობდა, ეკლესიის აშენებას მიგვაკლა. ახლა თითქოს გულით ლაპარაკობს ჩვენ კეთილდღეობაზე...

— ეს ბიჭი მართალია. უჰ, რამდენი ოფლი დავაქციე იმ ეკლესიის კედლებზე! რად გვინდოდა ახალი ეკლესია, ძველი არ ვარკოდა თუ? — გამოეჩომაგა ერთი გლეხი, რომელიც ეკლესიის მაღალ კედლებზე თავისი ზურვით ეხიდებოდა დიდრონ ქვებს.

— ჩემი სივაჟკაცე მაგ ეკლესიამ წეილო და ავერ ერთი ხანია ფეხიც აღარ შემიდგამს იმაში. შვილო, სადაც საქმე ტყუილით იქსოვება, იქ არაფერი არ გაკეთდება, — დაასკვნა ბოლოს ლენინომ.

გლეხებს უწინდელი დაპირებებიც ახსოვდათ, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა და მაინც ღარიბები იყვნენ. ამიტომ ყველაზე მოხუცმა, რომელსაც თმა თოვლივით გასთეთრებოდა, ეჭვით თქვა:

— მეზობლებო, ერთხელ დაშინებულმა ძაღლმა ცხრა თვეს მთვარეს უყეფაო.

მოხუცის სიტყვა ვასოს იამა, სინარულმა შეაჟრჟოლა.

— აი, ამხანაგებო, ბაბუა რა მართალს ლაპარაკობს!

ჩამოსული სტუმრები ზოსიმემ დაპატიჟა. მთელი სოფლის ნაცოდვილარი მის ოჯახში იყო მოგროვილი და მისთვის ხუთიოდე კაცის გამასპინძლება ძნელი საქმე არ იყო.

„კრების სოციალისტები“ ზოსიმეს სახლში გაშლილ მაგიდას შემოუხსდნენ.

მაგიდაზე უხვად ელაგა ძროხის, ცხვრის, ღორისა და ქათმის ხორცი, სხვადასხვანაირ ნამცხვარს



ხომ ანგარიში არ ჰქონდა. სადღეგძელოები მხურვალე სიტყვებით გაჩაღდა.

— ბატონებო, სმენა იყოს! მაგიდას უფროსი უნდა, — დაიძახა ერთმა სტუმართაგანმა.

— სწორია, ბატონებო, კოლას შენიშვნა.

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ! — ატყდა ჩოჩოლო.

— ბატონებო, ბატონებო, მოითმინეთ! ჩემი წინადადება იქნება, მაგიდას უფროსად მამაო ზოსიმე ავირჩიოთ, როგორც უფროსი და გამოცდილი ადამიანი!

— დიდებულია! — გაისმა დამადასტურებელი ხმები.

ზოსიმეს ხმაურით მიულოცეს თამაღობა, მაგრამ მას სხვა მიზანი აქვს, ამიტომ ბოდიშის მოხდით მიმართა:

— შვილებო, მე მადლობელი ვარ დაფასებისათვის, მაგრამ არაა წესი ღვთითა ჩემს მიერ ესრეთი საქმის შესრულებათ.

— მაშ, მამაო, ვისაც თქვენ ჩააბარებთ, ყველანი თანახმა ვიქნებით, — ერთხმად შეელაპარაკნენ ზოსიმეს.

ზოსიმემ მათი რჩევის თანახმად თამაღობა თავის მეზობელ ვალიკოს მიულოცა და თანაც დასძინა:

— ვალიკო ჩემი მეზობელია, მეც კარგად მიცნობს და თქვენც.

ყველანი დაეთანხმნენ.

სადღეგძელოებში ბევრი ლამაზი სიტყვა დაიხარჯა. ყოველ სადღეგძელოში ზოსიმეს ქება-დიდებათ იხსენებდნენ. ზოსიმეს უხაროდა.


„ღღემდის თუ ნიკოლოზ მეფეს ვლოცავდი, ამის შემდეგ მენშევიკურ მთავრობას მოვიხსენებ და ვიქნებით ასე ხელიხელჩაკიდებული“ — ფიქრობდა ზოსიმე. ასეთ დასკვნა გულთბილი სტუმრიანობის შედეგი იყო. ტკბილ სიმღერაში გათავდა ღამე და ქეიფი.

კრება მახლობელ დაბაშიც ჩატარდა. ახალი ხელისუფლება დამყარდა, მაგრამ ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, მხოლოდ დიდი ვაკრების — მამა-ლაძისა და სინარულიძის — დუქნებზე გრძელი წითელი ასოებით ეწერა:

„ხმა მიეცით № 1“*)

*) მენშევიკების საარჩევნო სია დამფ. კრების არჩევნებზე.

ლაშკინტი ზიზინაძე



შემოქრომა

გაიძარცვა მთაღაბარი,
 ზეცა ნისლით აქვითინდა,
 ველზე დაქრის ცივი ქარი,
 შორს მერცხალიც გადაფრინდა.

დაღვრემილა ტყე, მინდვრები,
 ბაღში ხილი მიილია,
 პაწაწინა ბელურები
 მაღე ზამთარს მოელიან.

ნაზი ყლორტი იქცა ნაცრად,
 მოაცალა ქარმა ფთილა,
 და ლამაზ, ჭრელ კაბის ნაცვლად
 ყინვით ტანი დაითრთვილა.

შორის ნისლებს ვინლა დათელის...
 მზე თვის სხივებს ძლივსლა ისვრის...

ტყე საზამთროდ იფშენეტს თვალებს
 ფრინველთ სტვენა არსად ლისმის!

ძველი მწუხრი აღარ გეახრჩობს.
 მაინც არ გვლევს სევდა გზადა...
 რახანია ზამთრის სარჩო
 კოლექტივმა მოამზადა.

ჩვენც სკოლაში ყოველ დილით
 სინარულით ვეშურებით,
 აღარ გვტკივა თავი ძილით,
 არც არავის ვეშურებით.

ძლიერ გვიყვარს სკოლის ეზო,
 ყველა საგანს ვსწავლობთ კარგად,
 გოგი, ვანო, მიშა, რეზო
 მეგობრობას არ დავკარგავთ!

ვერა უზულაძე

კოლოსა და ყაზახის სარკივარი

(ხალხური)

აქში, კოლო, მწერებშია
 სხვაზე მეტად ხარ ოხერი,
 შებარულხარ მარანში და
 დაგიცლია ორი ქვევრი!

ყაზახს ქვევრში თხლე-და დახვდა,
 წაუვიდა, თურმე, გული.

უწყველიხ რ: „არ გელირსოს
 შენ ლაგამი მოოქრული!“

კოლოს, თურმე, საწნახელი
 გულმოსულს უგორებია,
 კარში რომ ვერ გატეულა,
 მარანი წაუტყევია.

ყაზახს გული რომ მოსვლია,
 თოფი მოუმარჯვებია,
 კოლოსთვის ტყვია მოურატყამს
 და სისხლი უღინებია.

კოლოს გული მოსვლია და
 საქმე საქმედ გაუჩარხავს.
 ყაზახს ხმა ვერ გაუტია,
 ვექილისთვის მიუმართავს,
 მაგრამ კოლოს უჯობნია
 და ყაზახი დაუკარგავს...

მეგრულიდან თარგმნა იანამანა

ტექსტი მოგვაწოდა სამეგრელოდან მასწ. მ. თეოფილიმა

ლევარსი როხროხაძე



მ რ ა გ უ ლ ი

ბზობის წინაღვე იყო.

აველე ჩემი ბადე და წავედი სათევზაოდ.

მივედი ტბასთან და რას ვხედავ? გამოსულა ტბიდან ორაგული და ძუძუს სწოვს ძროხას, რომელიც ტბაში დგას და ნაპირზე ბალახობს.


ძროხას რომ შევეუძახო, ორაგული დაფრთხება და ვაიქცევა.

მოვიმარჯვე ბადე და ორთავეს ვესროლე.

ორთავენი მოჰყვენ ბადეში.

ის იყო ნაპირზე უნდა გამომეთრია, რომ ორაგულმა დაჰკრა ბოლო და ისევ ტბაში შეცურდა. შეცურდა, მარა მოვახტი ზურგზე. მოვახტი ზურგზე, მარა მოკურცხლა ქვევით. შევატყვე საქმე ცულად იყო, ზღვაში მიპირებდა ჩაყვანას. ვიშიშვლე ბებუთი და დავკარი მკერდში. ვადამბრუნდა საწყალი თევზი. ამოვათრიე ნაპირზე.

ხუთი ფუთი და ორმოცი გირვანქა გამოვიდა.



— გეტყობა, შენ ამაშიაც ეჭვი შეგდის მგონი, — გკითხა ლევარსიმ და თავის თანამესოფლეს მიუბრუნდა: — ხომ გახსოვს ეს ამბავი?

— კი გამიგონია შენგან, მარა თითონ თევზი არ მინახავს.

— შე ოხერო, იმ ბზობას რომ ორი საინი თევზი ჩაცეცხლე ჩემსას სადილზე, ახლა აღარ გახსოვს? — შეუტია ლევარსიმ.

— კი, მარა ის ხომ დოში იყო და არა ორაგული?

— ასეთ მუტრუქს ეცი კაცმა პატივი! ისიც კი არ იცის, რომ დოშს ორაგულიდან აკეთებენ. გეტყობათ, თქვენ ისეთი ხალხი ხართ, რომ თქვენთან ლაპარაკიც არა ღირს! — გვითხრა ლევარსიმ და დაგეტოვა, წავიდა.

თავადის ცხენის მოპარვა

ერთი თავადი იყო.

ისეთი ცხენი ჰყავდა, რომ ყველას რჩებოდა თვალი მასზე.

თავადი ტრაბანობდა: ცხენს ვერაფერს მომპარავს, რადგან ფხიზელი ძალლი მყავს, რომლის დანახვა ღომსაც კი შეაშინებს.

გადაწყვიტე იმ ცხენის მოპარვა. ერთ ღამეს ვიყიდე ერთი ოყა დამპალი ხორცი, ჩვედვი გოდორში და ხიდან ბაწრით გადავუშვი თავადის ეზოში.

ძალს ეცა დამპალი ხორცის სუნი და ხელათ გადაეშვა გოდორში. ავსწიე გოდორი და ხეზე მივავი ბაწრით. გადავედი ეზოში, გამოვიყვანე ცხენი თავლიდან და მოვკურცხლე.

მეორე დღით ნახეს, რომ ძალლი ჰაერში იყო გამოკიდებული.

აყვირდა თავადი, მარა რას გახდებოდა. ეძებეს ცხენის ნაკვალევი, მარა რას მიაგნებდნენ, როცა ცხენს ნალევი ავყარე და უკულმა დავტყედე. გაბრაზებულმა თავადმა ძალზე იძია შური — მოჰკლა ხაწყალი.

— ლევარსი, თქვენ ხომ არ ცდებით? ამის მსგავსი ამბავი მე მაცი ხეტიანზე გამიგონია, ფურცელადეს რომ მოთხრობა აქვს, „მაცი ხეტია“ — უთხრეს ლევარსის.

— ვინ ხეტიანა მაცი ხეტიანა? — იუკადრისა ლევარსიმ. — ეს მე ვქენი! თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ყარამანა ბურჭულაძეს.

— ყარამანა შარშანწინ მოკვდა.

— ჰოდა, აბა, მაგასაც ნუ დამიჯერებთ, რომ ყარამანა ბურჭულაძე შარშანწინ მოკვდა. — ეწყინა ჩვენს გმირს ჩვენი შენიშვნა და ჩიბუხი გააბოლა და სამშვიდებლად.

გამოშლილი ჩახმახი

ძველად თურქეთის საზღვრებიდან ჩვენში კონტრაბანდა შემოჰქონდათ.

მე სანაპირო რაზმში ვმსახურობდი.


ყდგევარ საგუშაგოზე თოფით ხელში.

ფაჩუნი მომესმა.

თოფი ხელში მოვიმარჯვე.

ეჭვდავ, რომ ერთი კონტრაბანდისტი ბუჩქებში მიიპარება.

— შესდექ! — შევსძახე, მარა არ გაჩერდა და გაიქცა.



დავუმიზნე თოფი და გამოვუშალე ჩახმახი.
ის იყო თოფი უნდა გავარდნილიყო, რომ კონ-
ტრაბანდისტმა ხელები აწია და დაიძახა:

— ლევარსი, ვერ მიცანი? მე ვარ გოგიე მახა-
რაძე, არ მომკლა, ბიჭო!

შეეხედე და რას ვხედავ? მართლაც ჩვენი გოგიე
არის. ჩახმახი უკვე გამოშლილი იყო, მარა ესტაცე
ხელი გამოშლილ ჩახმახს, დაგეწიე და უკან დავაბ-
რუნე.

ასე გაღარჩა საწყალი გოგიე.

— გამოშლილ ჩახმახს როგორ დაეწეოდი, ლე-
ვარსი? — შეეკითხე ლევარსის.

— ჩემი თუ არ გჯერა, თითონ გოგიას უჭკითხე.

— გოგია დიდი ხანია მოკვდა, — გვითხრა ერთმა
მაყურებელმა.

— მე მოვკალი თუ? — გაუკვირდა ლევარსის.

— შენ რატომ მოკლავდი? ანთება გაუჩნდა და
მოკვდა.

— ჰოო, მაშინ რომ მე იგი მომეკლა, მერმე
ანთება რაფერ დამართებოდა? მაშასადამე, ჩახმახს
დავეწიე და გოგიე სიკვდილს გადავარჩინე.

— სხვა ვისმე არვინ იყო? თუნდაც შენი ამხანაგი
მცველი?

— როგორ არა, იყო ერთი ციმბირელი რუსი, —
მოგვიჭრა სიტყვა ლევარსიმ.

ი. ხინჭელი



ჰა... ბათომი, ქობულეთი,
ციტრუსების მთელი ყანა...
ლიმონი და ფორთოხალი
არ გვინახავს ამისთანა!
როგორ ყვითლად დახუნძლულა
მანდარინის ბუჩქთა მწკრივი!
ხედავ, ლამაზ მწვანე კონცხზე
რომ გაშლილა კოლექტივი?!
ან ამ ხურმებს რად არ უცქერ,
ოქროსფრად რომ ხეზე ბზინავს,
ხან აღისფრად გაილიმებს,
ხან მზის შუქზე ქარვად ბრწყინავს!
საუბრობენ სოფლის გზაზე
ჯემალ, ხუსა, ნანა, ლადი, —
დღეს მათ უნდათ ინახულონ
კოლექტივი „განთიადი“.
ჰა... მივიდენ და მათ თვალწინ
გადიშალა საოცრება:
თვალს ხიბლავდა ქარვისფერი
ციტრუსების მთელი წყება..
მათ იხილეს ქარავენები
დატვირთული მანდარინით,

დამზადების პუნქტისაკენ
რომ მოქონდათ ძიებს ლხინით.
რა ხალისით ცლიდა გოდრებს
აჭარელი ქალი ზანა,
თან ამბობდა: მოსავალი
არ გვინახავს ამისთანა!
სახელმწიფოს ჩავაბარებთ
მანდარინის ახალ წყებებს,
შევასრულებთ ჩვენ პარტიის
დავალეებს და მის გეგმებს.
ზღვა ღელავდა, ფაფარაყრილს
გადაჰკროდა თითქო ზეთი...
ჯიბრში ედგა მაზინჯაურს
მწვანე კონცხი, ქობულეთი...
კრეფდენ ნაყოფს ბრიგადები,
რაზმი რაზმებს მიჰყვებოდა,
კოლექტივის წევრთა გულში
ლენინური ცეცხლი კრთოდა.
რა კარგია ამ ქალაქში,
ოჰ, რა ყვითლად ბზინავს ყანა!
ციტრუსების მოსავალი
არ გვინახავს ამისთანა!

ამთანდელ ქაჯმაქი



შენ კარგი იყავ დილის მზესავით
თეთრ ჩანჩქერით საამო, რბილი,
შენ ჩუმი იყავ ფშავის მთებსავით,
მთებსავით ჩუმი, გულჩათხრობილი...

გულშეღონებულ კლდეთა კვილზე
ლურჯ იის დარდი კარგად იცოდი,

თეთრ შრომანების ფესვთა ტკივილზე
ცვარი გნამავდა, ცვარივით კრთოდი...

მაგრამ გაუტყდა სალამურს ღილი,
შგლის ნუკრებს ველარ აამეტყველებ...
დიდი ხანია ვაქას ღიმილი
ალარ ამშვენებს ზურმუხტის ველებს...

ქეთო მღვიმელი

წითელარქილები მყინვარწვერზე

პიონერებო! ამ ზაფხულს, როდესაც თქვენ ისვენებდით, ჩვენი სოფლისა და ქალაქების, ჩვენი სოციალისტური მინდვრებისა და ყანების, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, ჩვენი მშვიდობიანი შრომისა, სწავლისა და საქმიანობის დამცველი წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილები ატარებდნენ მალალმთოვან ლაშქრობებს. მათ მამაცურად დასძლიეს და გადალახეს პამირის მთები, ზიქარის უღელტეხილი, ალაგეზი და მყინვარწვერი.

მყინვარწვერს ბევრი თქვენთაგანი იცნობს. ბევრ თქვენთაგანს, ალბათ, ის კიდევ დაუნახავს მუდამ თეთრქუდჩამოფხატული. ტფილისიდან ის ჩრდილოდასავლეთით ძევს და მოწმენდილ ამინდში გარკვევით მოჩანს. მყინვარწვერამდის ბევრი მთაა — დიდი და პატარა, მაგრამ რადგან ის სხეებზე მალალია,

მის „წვერს“ ადვილად ვხედავთ. მისი სიმაღლე უდრის 5.043 მეტრს ზღვის დონიდან, ანუ 5 კილომეტრსა და 43 მეტრს. მყინვარწვერი იალბუზზე ცოტათი უფრო დაბალია, მაგრამ ასასვლელად უფრო ძნელი დასაძლევეია, ვიდრე იალბუზი.

აი, ამ მყინვარწვერზე სასწავლო-საბრძოლო ლაშქრობის ჩატარება გადაწყვიტა ფრუნზეს სახელობის ქართული დივიზიის ნაკრებმა ათასეულმა.

10 სექტემბერს ათასეული უკვე გზაში იყო და მყინვარწვერისაკენ მიიჩქაროდა საქართველოს სამხედრო გზით. ეს გზა საბურთალოდანვე არაჩვეულებრივი და მომზიბლავი ხდება. დიღმის ველზე ლარივით სწორია, მცხეთასთან მარჯვნივ მოუხვევს და არავგს უმეგობრდება. მერე ისევ შორდება და ნატანტარის ყანებს ქამრად ერტყმება.



კოტა იქით აღმართებს მიაწყდება, აივლის და დუშეთთან მიახლოებამდის მშვენიერ ველზე გასწორდება. მაღლობზე ლამაზად და მკვიდრად დაბინავებული ბაზალეთის ტბა გამორჩნდება. მალე გზა, თითქოს ემდურისო, დუშეთს გვერდს აუქცევს, გველივით დაიკლავება და მაღალ მთებში შეისრიალებს. აქ მყინვარწვევრა პირველად შემოგვხვდა მრისხანედ. ყველამ მისკენ გაიშვირა ხელი.

შემდეგ გზა ისევ არაგვის უმეგობრდება და არ ღალატობს მას ჯვრის უღელტეხილამდის. ორთავე მხარეზე დგანან უღვეველი ტევრიანი მთები, მთები და მთები. მოჩანს კოშკები, ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები. აი ანანურიც და მისი უძველესი ციხე-სიმაგრე. არაგვის ხმაურს შეეჯიბრა წითელარმიელთა სიმღერების ხმა და გუგუნის. მდუმარე მთებს აღვიძებს ფრუნხელთა ლაშქრული. მათთან ერთად თითქოს მთებიც მღერიან, მყინვარწვევრისაკენ მოდიან, აი მღეთიც და ჯვრის უღელტეხილი: კედელსავით ფრიალო მაღალი კლდე ხევიდან ცამდის რომ არის აწვდილი. კედელზე გზა მრავალგანს დაკლავილა. დაბლა გადახედვა აქ ჟრუხანტელმომგვრელია. გინდა მალე აიარო ეს გზა და თავიდან მოიშორო ის სიმძიმე, რომელიც თან ახლავს ამ ველური სიდიდისა და სილამაზის განცდას, მაგრამ პირიქით: თქვენ თითქოს ბოლთას სცემთ, წინ და უკან დადიხართ და ისევ იქა ხართ, სადაც იყავით. ხევის გაღმა მოჩანს ქერის ყანებით მოქარული მთის მწვანე კალთები. მწიფე ყანებს ოქროსფრად მოუჩუქურთმებიათ მწვანებალახოვანი ფართობები. ათასნაირ სახეს ნახავთ, ნაკეთებს, გეომეტრიულ ფიგურებს. წითელარმიელმა დანელიამ ერთი ნაკეთი ინგლისურ ჩიბუხს შეადარა. — „ჩიბუხი!“ — წამოიძახა მან, ხელი გაიშვირა და ყველას დასტური მიიღო. ყველამ კარგად გაარჩია ჩიბუხის ნაწილები: მილი, საყალიონი.

ჯვრის უღელტეხილზე ჰორიზონტი უცებ ფართოვდება და თვალმიწვდენელი ხდება. ეს უღელტეხილი მთავარ ფოკუსსა ჰგავს: თითქოს ყველა მთას აქ მოუყრია თავი და მიტინგი გაუმართავს.

არაგვის ხევის უფსკრულიდან ამოსულს სრული უფლება გაქვს შესძახო იმ მთებს, აქამდის რომ თვალს ვერ ააწვდენდი:



— მთებო, ახლა მე თქვენი ტოლი ვარ! აღმართს და უღელტეხილს თავდაღმართი მოწყა: დავეშვით თერგის ხეობაში. მაღალი მთების კალთებზე არ არის მცენარის ნატამალი და ეს მთის ველი მთები მართლა „მღვებივით“ სხედან. აქ იქ მოჩანს მოხვეური სოფლის კირით შეთხუზული თეთრი კედლები და ფანჯრები, ყოველი სოფლის ახლოს დგას კოშკი.

11 სექტემბერს ათასეული უკვე მყინვარწვევრის ძირას მდებარე სოფელ გერგეთშია დაბანაკებული. წვიმს, მყინვარწვევრზე კი თოვს. საგრძობლად ცივა. ღამით კიდევ მეტად აცივდა. 12 სექტემბერს მშვენიერი მზიანი ამინდი დადგა. ბანაკი აიშალა, მყინვარწვევრისაკენ დაიძრა. წითელარმიელები მთამსვლელებივით მჩატედ როდი მიდიან: მათ თან მიაქვთ ძვირფასი სტალინის ბიუსტი, ქვემეხი, ტყვიამფრქვევები და შაშხანები (თოფები). ამავე დროს მათ მიაქვთ სრული სამხედრო საჭურველიც. მოხვევებს აცვიფრებს ასეთი ტვირთით ლაშქრობა მყინვარწვევრზე და ყველანი ვაკვირვებით უცქერიან მწვევრვალისაკენ ცალფად მიმავალ ათასეულს.

წითელარმიელებს მყინვარწვევრზე თან მიჰყვება მ. წიკლაურის თოვლივით თეთრი ბროლია. ბროლია რომ ჩემი ყოფილიყო, მე მას უთუოდ თოლიას დავარქმევდი. ბროლია ხან წინ გარბის, ხან უკანა რიგებში ვაჩნდება. ყველა ეალერსება მას. ისიც ყველას მეგობრობს, არაგვის არ უყევს. დროგამოშვებით ბროლია ყორნების ირაოს ახედავს და განსაკუთრებით კი არწივის მიმართ დაცქვიტავს ყურებს. მართლაც, ხომ შეიძლება არწივმა ის თეთრ ბატქნად მიიჩნიოს და თავს დაესხას?!

სალამოს ათასეული მივიდა მყინვარწვევრის კონუსის ძირში — საბერწეში — და იქ გაშალა კარგები. ბანაკს თავს დაჰყურებს მყინვარწვევრი გველეშაპის მხრივ (აღმოსავლეთის მხარე, სადაც კონუსის წელაკი იმდენად ციცაბოა, რომ ერთ ადგილზე ყინულის გარსი გაფხრეწილია და თოვლ-ყინულს შორის მოქცეული კლდის ზედაპირი შავად და გველეშაპით მოჩანს). აქ დაიღუპა მთამსვლელი მიქელაძე, რომლის პატივსაცემად ამ გზიდანვე მყინვარწვევრზე ავიდა მთამსვლელთა ერთი ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთი მონაწილეთაგანი, კაკო მარი, აქვეა, ბროლის ეალერსება.

მყინვარწვევრის პირდაპირ დგას მასზე უფრო დაბალი „ორწვერი.“ ესეც საუკუნოვანი ყინვართაა დატვირთული. ამ მუდამ უღამურ და უსიცოცხლო ადგილზე ისმის ხმაური, ლაპარაკი, სიმღერა. აი იმ კარვიდან, შუაზე რომ დგას, მოისმის მეგრული „ვასვარადა სი ვარადა“, განაპირა კარავიდან კი აქარული მაყრული — „ე-ეიდა-ე-ეიდა“, იქ კიდევ ლაშქრული „დელიდელა“. ერთ ადგილას მრავალი წითელარმიელი შექუჩებულა. უკრავენ დოღს და ცეკვავენ. მედოღეს გვერდში უზის წითელარმიელი პაპუაშვილი და საკუთარი გამოგონების ზურნას

უკრავს: ცელულოიდის შავი საგარცხლისათვის ქაღალდი გადაუფარებია, პირში უჭირავს და დოლს უხმატკბილებს.

დალამდა. „ძალი გარეთ არ გაიგდებაო“ რომ იტყვიან, ისე აცივდა. მყინვარწვერს ნისლის ჯანლი არ ახვევია, ამიტომაც უფრო ყინავს. ბანაკის გვერდით წევს გერგეთის, ანუ ორწვერის ყინული, რომელიც დევდარაკის ხევიდან მოიმართება 7—8 კილომეტრის სიგრძეზე და არშინასავით აქვს მოყოლებული მყინვარწვერის კონუსის ძირს. მეორე დღეს ათასეულმა ფიხი შედგა გერგეთის ყინულზე და იავორას (ცნობილი გამყოლი მთამსვლელი მოხვევე კაზალიკაშვილი) ნიშს მიაღწია. 14 სექტემბერს ათასეულმა შეუტია მყინვარწვერს. წითელარმიელები გავიდნენ ფირნის, ანუ თოვლიან, ველზე. ყველამ სათვალეები მოიმარჯვა.

ბროლიას რომ არ აქვს სათვალეები?! — იოხუნჯა ოცმეთაურმა ნებიერიძემ.


ბროლია კი ამ დროს ფირნის ველზე დანავარ-

— ეს წყეული ნეტავი ხომ არავის დაუშინხავს, რომ არ იფცქვინება! — იოხუნჯა საფეხურების ამოტეხისას წითელარმიელმა დევიძემ.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა აქვე ქვემების ამტან წითელარმიელებს. აი რას გვიამბობს ამის შესახებ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი წითელარმიელი მიხეილ ყინაშვილი:

— ჩვენს ჯგუფს წილად ხედა მეტად რთული და მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო საბრძოლო ამოცანის შესრულება — ქვემების ატანა მყინვარწვერზე. ჯგუფი შედგებოდა 9 წითელარმიელისაგან. ესენი იყვნენ:

ილო ფოლადაშვილი, იოსებ საბიაშვილი, ვანო ნახრაშვილი, ივანე ჯანაშვილი, კოლა ჯანაშვილი, იორდა მამდარაშვილი, აბრამ ჭუჭულაშვილი, ივანე არჩემაშვილი და მე. ქვემები დაშლილი მიგვქონდა. განსაკუთრებით ძნელი იყო ქვემების ლულის ატანა. 4.500 მეტრის სიმაღლემდის ქვემები ავიტანეთ საგანგებოდ გაკეთებული ქალამბებით,



დობდა, თითქოს გაუხარდო მასავით თეთრიველის ნახვა. მალე დაიწყო მწვერვალის ციკაბო შეღმართი. ყველამ მოიმარჯვა ყინულსატეხი წერა ვები, ჩაიცვეს წრიაპები. ბროლია ახლა აღარ ნავარდობს — შეშინდა, პატრონს აღარ შორდება, ის ხედავს, რომ მის გარდა ყველანი თოკებით არიან გადაბმული ერთმანეთზე და ნელა, სვენებ-სვენებით, მიიწევენ წინ მალა. გაჭირდა სუნთქვა. მატულობს სიცივეც. ყველაფერი ერთადაა დასაძლვეი: აღმართი, სიცივე, გაძნელებული სუნთქვა, რკინასავით მაგარი თოვლის ნაპრალები და სიმაღლის შიში.

„საკაცით“. შემდეგ კი ასეთი წესით წაღება შეუძლებელი შეიქნა. იძულებული ვიყავით ლულა დაგვედო მარხილზე, რომელსაც ვეწეოდით ორი მიმართულებით — ხევით და განზე. ჩვენ ვერ ვსარგებლობდით ყინულში გაკეთებული საფეხურებით, ამიტომ ყოველი ნაბიჯი სახიფათო იყო. სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა მსვლელობა: მატულობდა დაქანება, ძნელდებოდა სუნთქვა. ხშირად ვისვენებდით. ყინულში მაგრად ვარჯობდით წერაქვეებს და მათზე ვამარგებდით მარხილსაც და ჩვენ თავსაც. დასვენებით ვიკრებდით ძალას. დაგვრჩა უკანასკნელი

15 მეტრი, რომლის გადალახვა ძლიერ გაგვიძნელდა. მოგვეშველნენ ამხანაგები: ზემოდან, უნაგრძიდან გადმოგვიდგეს თოკი, მოვებით მასზე მარხილი, და „ვაშას“ ძახილში ასრიალდა ქვემეხიანი მარხილი მყინვარის თხენზე. ავაწყვეთ ქვემეხი და სტალინის ბიუსტის მყინვარწვერზე დადგმისა და გახსნის დროს ტყვიამფრქვევებსა და შაშხანებთან ერთად ჩვენმა ქვემეხმაც დაიჭეჭა — პირველად მსოფლიოში ასეთ დიდ (5.000 მეტრი) სიმაღლეზე“.


წითელარმიელთა ასვლა მყინვარწვერზე მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა. ჩამოსვლა ნაკლებ სიძნელეს როდი წარმოადგენს: ამ დროს

დასხლტომა უფრო მოსალოდნელია. დავიწყეთ დაშვება. სალამოს 8 საათზე წითელარმიელები უკვე იაგორას ნიშთან იყვნენ მშვიდობიანად, უვნებლად. გამარჯვებული წითელარმიელები მყინვარწვერიდან მოიძღვრიან, ბარში ეშვებიან.

მათი გამარჯვების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. ამიტომაც მამაც წითელარმიელებს მყინვარწვერიდან დაბრუნებისას გზადაგზა ხვდებოდნენ მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდობა, ულოცავდენ გამარჯვებას, ესროდენ თაიგულებს.

მყინვარწვერიდან ათასეული სიძღვრითა და თაიგულებით დაბრუნდა.

ს. შაბალიშვილი.



ამ სერიდან გაღმით მოჩანს.
აზიდული ცამდის მთები,
მთებსაც ნისლი გადაჰყრია,
ნისლი, როგორც თეთრი თმები.

მწვანე ფერდობს ხავერდოვანს
ამკობს ყანის ოქროს ფერი,
თვალთ სივრცეს ჭრი და ხედავ:
მწვერვალები დგანან ბევრი.

მიდიხარ და თანაც ფიქრობ,
თუ გასცილდი ცხრა მთას იქით.
„ვინ დააწყო ქვები ასე?“ —
ეკითხები თავს და ვიკვირს.

თვალს აყოლებ ძირს და ზევით:
ბილიკები მოსდევს ნაპრალს,

გაქრა მიწდვრის სიფართოვე,
ატყორცნილი მთა მთას აკრავს.

დაქანებულ კლდეს და მალლობს
შესევია ცხვრების ფარა,
თითქოს მიწა, ველად შლილი,
ბამბის ქულებს დაუფარავს.

მიდიხარ და ფიქრობ მაინც:
„სადმე კიდევ ქვა თუ დარჩა?“
ამაყ მთების შესარცხვენად
მონგრეული გდია არშა.

ყოველ მხრიდან მოჩანს ისევ
აზიდული ცამდის მთები...
მთებსაც ნისლი გადაჰყრია,
ნისლი, როგორც თეთრი თმები.

სანდრო ჟღინტი




მწერლები ქვიშხათის პიონერბანაკში

14 აგვისტოს ბერიას სახელობის ქვიშხათის პიონერბანაკში არაჩვეულებრივი სიხარულის ჟრიაში გაისმა. ბანაკს ესტუმრა საბავშვო მწერლების ბრიგადა: ნინო ნაკაშიძე, გ. ქუჩიშვილი, ა. მაშაშვილი, რ. ქორქია, ვ. რუხაძე და სომეხი მწერალი ხალათი. პიონერები ხანგრძლივი ტაშით და „ვაშას“ ძახილით მიესალმნენ თავიანთ საყვარელ მწერლებს. კრება გახსნა უფროსმა პიონერმა უკლებამ. საპატიო და საქმიანი პრეზიდუმის არჩევის შემდეგ დაიწყო მწერლებისა და ბავშვების ლიტერატურული შეხვედრა ერთმანეთთან. ბანაკზე მომავრებულმა მწერალმა ქალმა ვიმქრალმა გააცნო მწერლებს ბანაკის ცხოვრება და ზაფხულის განმავლობაში ბანაკში ჩატარებული კულტურული და ლიტერატურული მუშაობა.

შემდეგ მწერლებს მიესალმნენ რუსი პიონერები და გამოთქვეს სურვილი: საქირაო ქართული საბავშვო ლიტერატურა ითარგმნებოდეს რუსულ ენაზე და საქართველოში მცხოვრებ რუს ბავშვებს საშუალება მიეცეს ქართული მწერლების და პოეტების გაცნობისო.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა მწერლებიდან ნინო ნაკაშიძე, ილაპარაკა მწერლებისა და ბავშვების ურთიერთობაზე, მათ ერთმანეთთან დაახლოებაზე და ერთმანეთის გაგებაზე. ასეთი დაახლოებით გამოსწორდება ის ნაკლი, რომელიც არსებობს დღეს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურაში.

შემდეგ გაიმართა ლექსებისა და მოთხრობების კითხვა. მშვენივრად კითხულობდნენ ბავშვები სხვადასხვა მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს, რო-



პიონერების სახელით უფროსმა პიონერმა კვიტაშვილმა შინაარსიანი სიტყვით მიმართა მწერლებს. მან აღნიშნა, რომ მომავალი თაობის აღზრდისათვის საქირაო ისეთი ლიტერატურა, რომელიც შეგვასწავლის ცხოვრების რაობას, გადაგვიშლის ნომავალი ცხოვრების ლამაზ პერსპექტივებს, შეგვაყვარებს შრომასა და ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის განსამტკიცებლად. უნცროსმა პიონერქალმა კვარაცხელიამ აღფრთოვანებული მისალმების შემდეგ თავისი მგრძობიარე სიტყვა ასი დაბოლოვა: „ჩვენ კმაყოფილი ვართ საბავშვო პოეზიით—ჩვენი პოეტების ლექსებით, მაგრამ არ ვართ კმაყოფილი მოთხრობებით. არ გვაქვს პიონერული ცხოვრებიდან კარგი მოთხრობები, რომელიც გვხიბლავდეს ისე, როგორც ნინოშვილის „გოგია უიშვილი“, გაბაშვილის „მადანას ლურჯა“, აკაკის „გამზრდელი“ და სხვა...“

გორც ქართულ, ისე რუსულ და სომხურ ენებზე.

ბოლოს ბავშვებმა მოითხოვეს მწერლებს თვითონ წაეკითხათ თავიანთი ნაწარმოები. წაიკითხა ნინო ნაკაშიძემ ზღაპრები ფრინველების ცხოვრებიდან, როდიონ ქორქიამ მოთხრობები, რუხაძემ, ქუჩიშვილმა, მაშაშვილმა, ხალათმა და ვიმქრალმა თავიანთი ლექსები, რითაც მეტად ნასიამოვნები დარჩნენ ბავშვები. დასასრულ მწერლებმა მადლობა გამოთქვეს ბანაკის კარგი ხელმძღვანელებისა და განსაკუთრებით ამხ. ლ. ბერიას მიმართ.

მეორე დღეს ბრიგადას წაჰყვინენ ვიმქრალი და თურქი მწერალი შარიფი ცემში პიონერბანაკის დასათვლიერებლად. ცემში მწერლებმა დაათვლიერეს რკინისგზელებისა და წითელიჯვრის პიონერბანაკები. ორავე ბანაკში მწერლებისა და ბავშვების ლამაზი შეხვედრა მოეწყო.

„ჩვენ ვისურვებთ მეტ ყურადღებას მწერლებისაგან.“

ლიტვრების მუშაობა პიონერბანაკში

ბერიას სახელობის ქვიშხეთის რესპუბლიკურ პიონერბანაკში პიონერთა თვითმოქმედმა ლიტვრემ 22 აგვისტოს მოაწყო გარჩევა საბავშვო მწერლის გ. ნახუცრიშვილის წიგნისა — „მამამ გამომგზავნა“. მოხსენება გააკეთა უფროსმა პიონერმა ა. კვიტაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ლ. უკლებამ და სხვებმა. ამ წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია, იმიტომ რომ ის დაწერილია პიონერთა ცხოვრებიდან. პიონერები დაკვირვებით ეძებენ ამ წიგნში პიონერულ სიმართლეს. კამათში გამოიჩინა, რომ მოთხრობის მთავარი გმირი ვერ დგას პიონერულ სიმაღლეზე. ავტორი ამახინჯებს პიონერწესდებებს. მისი გმირი ლეო ენიძლავება სოფლის თავაშვებულ ბიჭს: თუ ჭიდაობაში მოგერიო და წაგაქციო, პიონერორგანიზაციაში უნდა შემოხვიდეო. ასეთი წესით არ ღეულობს წევრებს პიონერორგანიზაცია. ავტორი ვერ უპირდაპირებს სოფლის თავაშვებულ ბიჭებს პიონერთა ორგანიზაციას. არა ჩანს მოთხრობაში პიონერორგანიზაციის მუშაობა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო ეს მდინარე სოფლის თავაშვებულ ბიჭებს დაარჩენიათო. არ არის პიონერული ლეოს მოქმედება, როცა ის იმოდენა კაცს სოფელში ჩამოსვლის პირველ დღესვე დაახტება ქორივით და შემოპკრავს. ლეოს შეედლო სხვა საშუალებით და-

ესხნა პატარა გოგონა მამის რისხვისაგან. ავტორს კუსპა ისე ჰყავს გამოყვანილი, თითქოს ოთხმოცი წლის ბებერი იყოს — უსიცოცხლო, მობენძილი, ენამოხლექილი. ასეთი პიონერები ვერ მოიპოვებენ ავტორიტეტს. ავტორი სიმაღლით საზღვრავს ბავშვების ტიპებს, — სჯობდა მტკიცე ხასიათებით მოეცა ტიპები.

ეს წიგნი დაწერილია 11-12-13 წლის ასაკის ბავშვებისათვის, როგორც თვით წიგნში ასახული გმირების წლოვანებიდან ჩანს. ამიტომ საჭიროა მეტად ზუსტად იყოს დაწერილი წინადადებები და სტრიქონები გასადავებელი.

წიგნში მოკლე თავებია და სხარტად დაწერილი, ხალისით იკითხება.

პიონერთა საერთო კრება უსურვებს საბავშვო მწერალს ნახუცრიშვილს უფრო დაკვირვებით დაეწეროს კიდევ ბევრი წიგნი პიონერების ცხოვრებიდან.

- თვითმოქმედ ლიტვრეში მომუშავენი:
- ლევან უკლება — 8 კლ. მოწ. (ბათომი)
 - აპოლონ კვიტაშვილი — 10 კლ. მოწ. (ტფილისი)
 - ცაცა ბუხნიკაშვილი — 9 კლ. მოწ. (ტფილისი)
 - ვენერა ბაქანიძე — 9 კლ. მოწ. (ტფილისი)
 - ლოლა თუთაშვილი — 7 კლ. მოწ. (ბათომი)

ბავშვების აზრი საბავშვო წიგნებზე

ოქტომბრის პირველ რიცხვებში „პიონერის“ რედაქციამ მოაწყო ბავშვების შეხვედრა საბავშვო მწერლებთან.

რედაქციაში გამოცხადდნენ განსაკომის 1 სანიმუშო საშუალო სკოლის მოწაფეები: გიორგი ლოლუა, ირაკლი ხაბურზანია, გოგი ხერხეულიძე და ჭიჭინაძე. მწერალ მასწავლებლის ი. სიხარულიძის მეთაურობით და მე-35 საშუალო სკოლის მოწაფეები: კუკური სუფისპირელი, ავთანდილ ბენდუქიძე, გივი აბდუშელიშვილი, ლადო კიკნაძე, ლილი გიორგობიანი, ნინო ბადიაშვილი, ეთერ ჭრელაშვილი, მასწავლებელ კლ. თევზაძესთან ერთად.

რედაქციაში მოწაფეებს შეხვედნენ „პიონერის“ რედაქტორი და საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორის გამგე აკ. რეხვიაშვილი, საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორის რედაქტორ-მეთოდისტი ამხ. ან. ღვინიაშვილი სტილისტ-რედაქტორი ამხ. შ. თაბუკაშვილი და საბავშვო მწერლები: სიმონ მთვარაძე, როდიონ ქორქია, ილო მოსაშვილი, ლავ. ჭიჭინაძე.

საუბარი შეეხო სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორის მიერ გამოცემულ იმ საბავშვო წიგნებს, მოწაფეებს რომ გაურჩე-

ვიათ. ასე, მაგალითად, მოწაფეებს გაურჩევიათ: „სამი ბიჭის ამბავი“, „მხიარული მეგობრები“, „როზგა ჩაფარი“, ამბავი ივრის ხეობაში“, „ისლიანი სახლები“, „შავი ქვის ამბავი“ და „ალისფერი ყელსახვევი“.

მოწაფეებმა თავიანთი აზრი წერილობით მოიტანეს და კითხულობდნენ. საუბარს იწყებს I სანიმუშო სკოლის მოწ. გოგი ხერხეულიძე. ის ამბობს, რომ ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორმა გამოსცა მთელი რიგი ლამაზი საბავშვო წიგნები. „მე ორი წიგნი ავირჩიე, — ამბობს ხერხეულიძე, — და მათზე მინდა აზრის გამოთქმა. ეს ორი წიგნია როდიონ ქორქიას „სამი ბიჭის ამბავი“ და ილო მოსაშვილის „როზგა ჩაფარი“.

ხერხეულიძის აზრით, „სამი ბიჭის ამბავში“ საუკეთესო მოთხრობაა „კაუჭა“. ტანში ჟრუანტელი გვილით, როცა იმ ადგილს კითხულობთ, მილიციისაგან დევნილი კაუჭა რომ დედის საფლავზე გაიღვიძებს. მას დედის საფლავიც დავიწყებული ჰქონდა. ეს ადგილი მწერალს კარგად აქვს შესრულებული. ტფილისში კაუჭას მიერ ნოპარული ხალათის

პატრონი მისი მამა აღმოჩნდება. იგი შვილს ცნობს ნიშნით და ჩვენ ყველას გვგონია, რომ კაუჭას ცხოვრება ამ ბედნიერებით დასრულდება. მაგრამ კაუჭა ვერ ცნობს მამას და გარბის ჩვენდა სამუშაოზე“.

„მოჩნუბარ კოლაში“, ხერხეულიძის აზრით, დაუჯერებელია დირექტორის ატირება მოწაფეთა თანდასწრებით და ის, რომ მშობლებმა არ მიიღეს ზომები კოლას საძებნელად. ჩვენი სიმპათია კოლასკენა და გვენანება, ცალფეხა კოლა მათხოვრობას რომ იწყებს ქუჩაში“.

„წიგნი იწყებს ზიზღს იმპერიალისტური ომისადმი. ენა ავტორისა გასაგებია, მარტივი, კარგი. წიგნის გაფორმება სუსტია, ნახატები არ იძლევა სრულ წარმოდგენას გმირებსა და გარემოზე“.

მე-35 სკოლის მოწაფეები **ეთერ ჭრელაშვილი და ვლადიმერ კიკნაძე** ამბობენ: „უმჯობესი იქნებოდა ავტორს „კაუჭა“ გაეგრძელებია და მოკლედ აესახა კაუჭას შემდეგი წლები“. ეს მოწაფეები ამბობენ, რომ „ბურჟუაზიულმა ომებმა იმსხვერპლეს ნიჭიერი ბავშვები“ და „ასე იქნება შემდეგშიც, სანამ მთელ მსოფლიოში არ აფრიალდება კომუნისმის დროშა და ბურჟუაზიულ ომებს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო არ მოეღება“.

ბავშვებს მოსწონთ „ალისტერი ყელსახვევი“. ხერხეულიძის აზრით, „**მაშაშვილის** ლექსებს ახასიათებს რიტმის სიძლიერე, მის ლექსებში ისმის შრომისა და ბრძოლის კენ მოწოდების ხმა. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ „პიონერული“, „ბუნების გამოცოცხლება“. „ლენინი“, „შეკრებისკენ“. „ამ ლექსებში მოჩანს სიხარული და შრომის სურვილი ახალგაზრდა თაობისა. მშვენიერი შედარებებია:

„ბაღში ბავშვები მღერიან,
ცა ნათელია, ვრცელი,
თითქოს მზეც პიონერია
მთებიდან გამოქცეული“.

„კლდეზე ამაყად ვადმომდგარიყო
მზე—გამურული მაღაროელი“.

არ მოსწონს მოწაფეს ასეთი შედარება;

„და გლახებით მოგრეხილები
დგანან ხეები წყაროს ნაპირზე“.

ირ. აბაშიძის ლექსებში ხერხეულიძის მოსწონს „პატარა გმირები და მშენებლები“. არ მოსწონს ის, რომ აბაშიძის ლექსებში სულ არ მოჩანან გოგონები, რაც აუცილებლად არადაშვებელია მოგონებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. კარგი ლექსებია „ხუცის როლი“, „პატარა შოფრის ამბავი“, „საზაფხულო დასვენება“, „პროპაგანდისტები“. ამ წიგნის მხატვრული გაფორმება სუსტია.

გიორგი ლოლუა და **ირაკლი ხაბურზანია** (1 სკოლის მოწაფეები) არჩევენ „როზვა ჩაფარს“. „პოემა დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით, ბავშვებისათვის საინტერესო და გასაგებია“. „როზვა ჩაფარში“ ნათლად ჩანს გლეხობის დაბეჩავებული, დამონებული მდგომარეობა

და ჩინოვნიკების თარეში გლახობაზე... პოემაში, ბავშვების აზრით, „არა ჩანს კლასობრივი ბრძოლა სოფლად. მიჩქმალულია გლახების სიღარიბე. პოემის ბოლო ნაწილი არ არის ორგანიზულად დაკავშირებული პოემასთან და ვერ ტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას“.

ავტორმა აუხსნა მოწაფეებს, რომ პოემა ავტორულია ნამდვილ ამბავზე, რომ ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევითობა დიდ როლს ასრულებს. მეორე გამოცემაში ამ აზრს გავამახვილებო, — თქვა ავტორმა, — რადგან ხშირად მესმის მოწაფეთაგან ეს საუბარიო.

„როზვა ჩაფარი“ ავტორის მორიგი გამარჯვებაა, ვუსურვებთ ი. მოსაშვილს კიდევ უფრო უკეთესი პოემების დაწერას — დასკვნეს მოწაფეებმა.

ლ. ჭიჭინაძის „ისლიანი სახლები“ გაარჩიეს იმავე მოწაფეებმა და აგრეთვე მე-35 საშუალო სკოლის მოწაფემ **ლილი გიორგობიანი**. მათი აზრით, ავტორი გვიხატავს „კოლექტივიზაციის საკითხს, მეფის წყობილების ხანას, სწავლა-განათლების საკითხს და აგრეთვე სოფლის გაძევრა კულაკების, მავნებლების და ჯაშუშების საზიზღარ საქციელს“ (გიორგობიანი). „ისლიანი სახლები“ მოთხრობაა რევოლუციური წარსულიდან. მოთხრობა ეხება 1905 წ. არსებულ აფრასიონ მერკვილაძის რაზმს. ავტორი აწერს მერკვილაძის რაზმთან კავშირის გამო სოფლების აწიოკებას, მერკვილაძის ურჩობას ჭიათურის პარტიულ ორგანიზაციისადმი“ (ლოლუა და ხაბურზანია). გიორგობიანს არ მოსწონს, რომ „მერკვილაძემ უარი განაცხადა ჭიათურის ორგანიზაციის დამორჩილებაზე. მერკვილაძეს რომ კავშირი გაება ჭიათურის მუშათა ორგანიზაციასთან, შეიძლებოდა შეერთებული ძალებით მეფის წინააღმდეგ ბრძოლა და მერკვილაძის რაზმი არ დამარცხდებოდა“.

მოწაფეები შენიშნავენ, რომ ეს მოთხრობა ქრონიკის ხასიათს ატარებს.

ავტორმა განმარტა, ქრონიკის ხასიათი წიგნს იმიტომ მიეცა, რომ მოთხრობები წარმოადგენენ ცალკულკე ეპიზოდებს დიდი რომანიდან, რომელსაც ვამუშავებო.

„ამბავი ივრის ხეობაში“ გაარჩიეს მე-35 სკოლის მოწაფეებმა **აბდუშელიშვილმა** და **ა. ბენდუქიძემ**. მათი აზრით, „ავტორს მრავალ მიღწევასთან ერთად ნაკლიც აქვს. უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ავტორის მიერ დიდი გამჭირახობისა და მოსაზრების მინიჭება ლაშქარსადმი. ლაშქარს ტიპი მოთხრობაში თითქმის ზღაპრული ტიპია, რაც ალბათ ბევრმა მკითხველმა შენიშნა. ავტორი თავზე ახვევს ლაშქარს იმ საქმეს, რომლის განხორციელებაც გოგის უფრო კარგად შეეძლო“. მოწაფეებს მოსწონთ, რომ „პიონერებმა გამოასწორეს კულაკების მომხრე ბენო. მოთხრობაში არის მრავალი შესანიშნავი ადგილი“ — დასძინენ მოწაფეები.

ავტორმა მოწაფეებს აუხსნა, რომ ლაშქარას ასაკი კომკავშირულ ასაკს უახლოვდება. ამიტომ მისი საქციელი ასაკის შესაფერისია. გარდა ამისა, ლაშქარას ტიპის ასახვაში ნახმარია ჰიპერბოლის ხერხი, რაც მხატვრულ სახეს მეტ სიცხოვლეს აძლევს.

მოწაფეებს **ლოლუასა და ხაბურჯანიას** მოსწონთ „შავი ქვის ამბავი“. „ნაწარმოებში ნათლად ჩანს მუშების აუტანელი პირობები ცარიზმის დროს და მიღწევები, რომელიც აქვთ თანამედროვე ჭიათურელ მემალაროებს. ავტორს ავიწყდება ერთი რამ, — განაგრძობენ მოწაფეები, — ისე გადაიკითხავ მთელ წიგნს, რომ ერთი დამკვრელი მუშის გვარსაც ვერ იპოვნო. ავტორს მეტი ყურადღება უნდა მიექცია კადრებისადმი, — ცოცხალი ადამიანებისადმი“. წიგნის გაფორმება, მოწაფეთა აზრით, კარგია.

1-ლი სანიმუშო სკოლის მე-6 კლასის მოწაფე **გაიოზ ვადაჭკორია** აღტაცებულია **გ. კაჭახიძის** „მხიარული მეგობრებით“. მისი სიტყვით, კაჭახიძის ლექსებში „აწერილი არის ბუნების სიმშვენიერე, მოწაფის ყოფაცხოვრება, ჩვენი ცხოვრების წინსვლა“. გაიოზს მოსწონს „ტრაქტორი მინდვრად“ და მოყავს ციტატა:

„გაუტხელი ძალაა,
როგორც ვაჟკაცი რკინისა,
მიდის, აღვიძებს მიდამოს,
მხნეობა უჩანს გმირისა“.

განსაკუთრებით მოსწონებია მას ლექსი „ბედნიერი ახალგაზრდები“.

„სალამოთი ძაგიდასთან
მუშაობა მიყვარს დიდხანს,
სუფთად ხატვა, სუფთად წერა
და წიგნების წყნარად კითხვა“.

ვადაჭკორია წერს: „ამ ლექსში არის აღწერილი მოწაფის ბედნიერება. თუ წინათ მოწაფისათვის შემოღებული იყო „როზგი“ და „მარკა“, ახლა მოწაფე სხვა პირობებშია და სახარულით მიეშურება სკოლისაკენ“.


„დიდება პოეტს, — ამთავრებს ნორჩი კრიტიკოსი, — უფრო კარგი და მხატვრული ლექსები დაგვიწეროს ნორჩ თაობას!“.

საუბარი შეაჯამა ამხ. **ა. რეხვიაშვილმა**, რომელმაც აუხსნა ბავშვებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მწერლებისა და მოწაფეთა უშუალო შეხვედრას, კულტურულ კითხვას და მეგობრულ ბაასში აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

ამხ. **რეხვიაშვილმა** მიუთითა მოწაფეებს, რომ კითხვის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს არა მარტო წიგნის შინაარსს, არამედ მხატვრულ სახეებს, ცალკეულ გამოთქმებს, პეიზაჟის აღწერას. ლიტურების კარგი მუშაობისათვის ამხ. რეხვიაშვილი შეჰპირდა მოწაფეებს საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორის ყველა გამოცემის თითო ცალს.

მოწაფეებიცა და მწერლებიც კმაყოფილნი დამალნენ.

რანო



(საუბარი პირველი)

დედამიწაზე არაა ისეთი კუთხე, სადაც კინო არ შეჭრილიყოს. კინო გასაგებია ყველასთვის, უაღრესად მიმზიდველია და პოლიტიკური ავითაცია-პროპაგანდის საუკეთესო იარაღია. მეცნიერება ტექნიკის პოპულარიზატორია და აგრეთვე შეუცვლელი პედაგოგი სკოლებში.

კარგახანია კინო ლაპარაკობს ყველა ენაზე, მღერის და გადმოგვცემს მუსიკის ყოველგვარ მოტივს. არა გვგონია იყვნენ ისეთი პიონერები, რომელთაც არ ენახოთ კინოსურათები.

ბევრმა არ იცის როგორ იქმნება კინოფილმი, როგორია კინემატოგრაფიის ისტორია.

მიუხედავად კინემატოგრაფიის არაჩვეულებრივი განვითარებისა, იგი მარტო ორმოცი წლისაა.

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, კაპუცინების ბულვარ №-14 სარდაფის შენობაში, „დიდ საშაქარ-


ლამოში“ 1895 წელს დეკემბრის 28-ს, მოხდა პირველი საზოგადოებრივი განხილვა კინემატოგრაფისა¹⁾ ლუი ლუმერის (1864 წ.) მიერთავის ძმა ოგუსტთან ერთად. ეს ისტორიული თარიღი არის კინემატოგრაფიის დაბადების დღე, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, თითქო სიტყვა კინო ძველად არ იყო. ამიტომ ურიგო არ იქნება იქითაც თვალის გადავლება და გაცნობა გაკვრით მაინც.

პირველი კინო.

ჯერ კიდევ ორიათას ხუთასი წლის წინათ წარმოიშვა რელიგიის მსახურთა მიერ მოწყობილი „საპროექციო“ აპარატი, რითაც ტაძრების შიგნით კედ-

¹⁾ ბერძნული სიტყვა: „კინემა“ — მოძრაობა და „გრაფია“ — გწერ, ვხატავ.

ლებზე უჩვენებდნენ „წმინდა წარწერებს“, „წმინდა გამოსახულებებს“. ამავე პერიოდს ეკუთვნის ეგრეთ-წოდებული „ჩინური ჩრდილები“. ეს ჩრდილები ეკლესიის მსახურთ აძლევდა საშუალებას გაუნათლებელი ხალხისათვის ჩაენერგათ ცრუმორწმუნეობის სიძლიერე და ღვთაების შიში. ასეთი პრიმიტიული პროექცია თითქმის ჩვენ დღემდის შენახულია ზოგიერთ მიყრუებულ კუთხეში და იგი იქაური რელიგიის მსახურთათვის ცრუმორწმუნეთა მიმართ მძლავრ იარაღს წარმოადგენს. რომ შეენარჩუნებია ძლიერება და გულუბრყვილო მორწმუნეთა აზროვნებაში აღედგინა ღვთაებისადმი მოკრძალება, სამღვდლოებს ესაჭიროებოდა ახალი სასწაულმოქმედება, და აი 1640 წელს რომში (იტალიის სატახტო ქალაქში) მოდის ჩრდილოეთიდან გერმანელი ბერი—იეზუიტი ათანასე კირხერი (1601—1676) და მოაქვს თავის მოძმეებთან სასწაულმოქმედი აპარატი, ეგრეთ-წოდებული „ჯადოსნური ფანარი“. გამოგონება ამ საპროექციო აპარატისა თითქმის გენიალურია, რადგან იგი შეუცვლელად მოვიდა ჩვენ დრომდის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ელექტროგანათებას, ძველი ხეობის ლანბის მაგივრად.



კირხერის გამოგონება ხმარებაში იყო ათეული წლების განმავლობაში. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, შავი რეაქციის ეპოქაში ჯადოსნური ფანარი ისევ გამოჩნდა ასპარეზზე, მხოლოდ სრულიად შეცვლილ სოციალურ საფუძველზე და უფრო დიდი ტექნიკური შესაძლებლობით.

პარიზში 1789 წელს გამოჩნდა ბელგიიდან გამოქცეული, რაღაც სასწაულმოქმედებისათვის პოლიციის მიერ დევნილი ნიჭიერი ფიზიკოსი ეტენ-გასპარობერი (1763—1837), რომელსაც თან ჰქონდა „რობერტონი“ და გაზეთები მისი შემოქმედების და სასწაულის მთელი აწერილობით.

რობერი აწყობდა ე. წ. მკვდრების გამოძახებას. ოდნავ განათებულ სარდაფის შენობაში ბუნდოვანად მოძრაობს ორთქლის და კვამლის ხეყულები, ისმის წრიპინის მაგვარი ხმაური და ამ გასუდრულ ატმოსფეროში თვით ჰაერში თუ კედელზე გაივლიან ფანტასტიკური არსებანი, „ქაჯებისა“ და ეშმაკების“ მაგვარი. თუ რომელიმე დამსწრეთაგანი გამოთქვამს

სურვილს დაინახოს თავისი გარდაცვალებულის აჩრდილი ან კიდევ ახლო ნათესავის, რობერტონიც არ აყოვნებს, და სასწაულისაგან გაოგნებული მაყურებელი მაშინვე ცნობილობს თავის მიცვალებულს, თუმცა მის მიცვალებულსა და ამ აჩრდილს შორის მსგავსება არაფერია.

მგონი პოლიციელმა მეთვალყურემ მისცა წინადადება რობერტონს გამოეძახა თვით დასჯილი მეფე ლუდოვიკო მე-16-ე. მოქნილი აფერისტი არ დაიბნა, და რადგან აქ მოტყუება ადვილი არ იყო. ამიტომ უპასუხა: ჩემის აზრით, საფრანგეთში ეხლა მეფეებს გამოჩენა არ შეუძლიათ. პოლიცია, დარწმუნებული (ისე, როგორც საზოგადოების ყოველი წევრი) აჩრდილების სინამდვილეში, აღელვებული ჩხრეკდა რობერტონის აპარატს, მაგრამ ვერ ნახულობდა ვერაფერს, გარდა გაუმჯობესებული კირხერის აპარატისა.

პირველი ნატურის გადაღებიდან ძმებმა ლუმერებმა საზოგადოებას აჩვენეს „მუშების გამოსვლა ფაბრიკიდან“, „მატარებლის მოსვლა“ და „მობანავე ბავშვები“, რაც შეიცავდა 15—25 ფირზე გადაღებულ თვითფულსურეცტს. ამასთანავე, რათა მიეხწიათ კომიკური ეფექტისათვის, უკანასკნელი ფირი გაშვებულ იქნა უკულმა გადატრიალებით, ისე რომ მობანავენი ამოხტებოდნენ ხოლმე წყლიდან ფეხებით, თავაღმა გააკეთებდნენ ჰაერში შებრუნებულ ნახტომს და ნაპირზე ეშვებოდნენ სწორად.

შემდგომი განვითარების ხანას მიეწერება ქრონიკული მასალების გადაღება და სენსაციური მოვლენების აღნუსხვა ფირზე. ასე რომ ოპერატორი თვითონ იყო რეჟისორიც და გადაღებიც, და ეს საქმე იქამდის მივიდა, რომ ოპერატორები არავითარ საშიშროებას არ ერიდებოდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ ყოველი მოვლენა, ან შემთხვევა. ამას ხელს უწყობდა ურთიერთშორის კონკურენცია, და პირველსავე წელს ერთი ოპერატორი დაიწვა ხანძრის გადაღების დროს, მეორე აფრიკაში გაემგზავრა მონადირეებთან ერთად და გადაღების დროს მას თავს დაესხა გახლეჩილი ლომი. მას, ეტყობა, შიშისაგან ვერ შეუტყრებია ტრიალი აპარატის სახელურისა, და მაყურებელმა ნახა, როგორ გამოეჭანა ლომი და დაფარა მკერდით მთელი ეკრანი. ოპერატორი იყო რეჟისორიც და გადაღებიც, მაგრამ ამ ხანებში მას თითქმის სარეჟისორო არაფერი ჰქონდა. იგი დადგამდა აპარატს და იღებდა მხოლოდ იმას, რაც ბუნებრივად ხდებოდა ან მოულოდნელი შემთხვევა იყო.

ერთხელ ლუი ლუმერი ბალში გამოვიდა გადასაღები ობიექტების გამოსანახავად და დაინახა, რომ მებღე რწყავდა მცენარეებს. მან გადაწყვიტა აქედან გამოეყვანა კომიკური სცენა და ამრიგად იკისრა პირველი სცენარისტობა. მან ასე გააკეთა: მებღე რწყავს, ბავშვი აბიჯებს რეზინის მილს ფეხს და წყალი წყდება. როცა მებღემ მილის თავი მიიტანა სახესთან, რომ ვაესინჯა რამ შეწყვიტა წყალი, ბავ-

ში გაიქცა, და მრწყველს ჩქერი თვალბში შეესხა. ამრიგად წარმოიშვა პირველი სურათი „მორწყული მორწყველი“, რასაც დიდი წარმატება ჰქონდა და რამდენიმე წელი ეკრანს არ მოშორებია. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდნ სცენის სასწაულ-მოქმედნი—ჟორჯ მელე (1896 წ.) და სხვანი. ე. მელემ გამოიყენა ერთსადაიმევე კადრში ერთსადაიმევე კაცის რამდენჯერმე გადაღება, აგრეთვე ორმაგი ჩაბეჭდვა კადრში, რითაც შეძლო გადაეღო სვიფტის „გულივერი ლილიპუტთა შორის“. თუ კაცს გადაიღებ შორს,—იგი პატარა გამოჩნდება, ხოლო თუ ახლოს—დიდი. ერთად ჩაბეჭდილი იძლევა გოლიათს და ლილიპუტს. ყოველი ასეთი ახალი ხერხით ეკრანის გამდიდრება აღწევდა არნახულ წარმატებას, და სურათი უკვე ველარ ეტეოდა 15 — 20 მეტრ. ფირზე. მოთხოვნილება იზრდება წარმატებასთან ერთად, და ქრონიკა და პატარა კომიკური სცენები უთმობენ გზას დრამატიულ ნაწარმოებს. ერთერთი პიონერთაგანი ამ საქმეში შარლ პატე 1864 წ. თავის ძმასთან ქმნის პირველ წამოწყებას (ე. წ. ფირმა „ძმ. პატე“ — ახლა უდიდესი ფირმა ეგროპაში), სადაც წარმოიშვა 1902 წელს პირველად გადაღებული 120 მეტრ ფირზე სურათი „ისტორია ერთი ბოროტმოქმედებისა“ და „ეშმაკების შვიდი სასახლე“, თითქმის ორას მეტრზე. შესაძლებელი გახდა რა მეტრაჟის გადაღება, მასალის ორგანიზაცია, ე. ი. მონტაჟი, კინომ მთლიანად გადაიღო ლიტერატურის ყოველნაირი ჟანრი (დრამა, კომედია, მოთხრობა, რომანი და პოემა). პირველად ტექნიკა და თემატიკა კინოსი,

რა თქმა უნდა, ძალზე სუსტი იყო, პირველი ატელიეს მაგიერობას აწრულებდა ღია მოედანი, იატაკ-დაგებული, სადაც იდგმებოდა დახატული ფონი. მალე შარლ პატემ მოაწყო შუშის კედლებით გარშემორტყმული ატელიე, რომ თავი დაეფარა ქარისა და ნალექებისაგან. ის კუსტარულად მუშაობდა შიგნით და იღებდა სურათებს თავის ერთადერთ ოპერატორ კოსადთან ერთად; მალე გაჩნდნ მხატვრები, დურგლები, და მუშაობა ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ჟანრებს შორის ბატონობენ მელოდრამა და ისტორიული (ამ უკანასკნელთ იტალიამ მალე გაასწრო სხვა ქვეყნებს მშვენიერი ბუნებისა და ისტორიული მასალის სიმდიდრის მეოხებით).

ომის წინადროინდელი კინემატოგრაფიის მთავარი სადავე საფრანგეთს ეჭირა და იტალია გვერდით მისდევდა, მაგრამ ომის შემდეგ მონოპოლია ამერიკამ დაიკავა უკანასკნელ წლამდის. საბჭოთა კავშირში კინომ ფეხი აიდგა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, დღეს კი იგი მსოფლიოში პირველ ადგილს იჭერს თემატიკასა და ღრმა სუჟეტური პრობლემატიკის გადაჭრაში.

მაღალი მხატვრული ღირსების მქონე საბჭოთა კინოსურათები იპყრობს მსოფლიო ეკრანს და საბჭოთა კავშირია ახლა ერთადერთი ქვეყანა, სადაც კინო არამც თუ არ განიცდის კრიზისს, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ აღმავლობისა და აყვავების ჯერ არნახული მაგალითის მომცემია. შემდეგ ჩვენ ვისაუბრებთ ხმოვანი კინოს ისტორიაზე.

ზაქრო ხარშილაძე

გავფვთა შემოქმედება

პატარა დიკი და გოლიათი

(ფრანგულიდან)

პატარა დიკი მთელი დღე უსტვენდა და მღეროდა ხოლმე. ის ყოველთვის ტყის პირას იყო. ტყის შუაგულში შესვლას შიშით ვერ ბედავდა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მზე ბრწყინავდა და ტყეში მრავალი ლამაზი ყვავილი და ხეები ლამაზად გამოჩანდა მზის ოქროსფერ სხივებზე, დიკი ძალიან გამხიარულდა, უსტვენდა და მღეროდა. მან ვერცკი შეამჩნია, რომ ტყის შუაგულში შესულიყო. პატარა დიკმა დაინახა ნაკადული, რომელიც გველივით მიიკლანებოდა. მისი წყალი სუფთა და ანკარა იყო. დიკს მოუნდა წყლის დაღევა. დაიკუზა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ მძლავრად მოჭიდა ხელი კისერში. შეშინებულმა დიკმა მოეხედა უკან და მაღალტანიანი გოლიათი დაინახა, რომელიც მასზე 100-ჯერ მეტი იყო.

სურდა დიკს გაქცეულიყო, მაგრამ ამ საშინელმა

კაცმა აიღო დიკი და ტომარაში ჩადვა საბრალო. ცდილობს აქედან გაიქცეს იგი, მაგრამ ამაოდ. ტომარას თავი მაგრად ჰქონდა მოკრული. გოლიათი კი ყვიროდა:

— ვერ გამექციევი, ვერა!


მიადგნ გოლიათის მორრუბლულ, ჭუჭყიან სახლს. შევიდნ ოთახში. გოლიათმა ამოიღო ტომრიდან დიკი. დიკმა გადაავლო თვალი ამ საზარელი კაცის ოთახს. მან დაინახა ბუხარში ცეცხლი, მის გვერდზე კი თავისი ამხანაგები, რომლებსაც წვავდნ გოლიათისათვის.

— დადვა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები... — გაიგლო გულში დიკმა.

ეს ასე არ მოხდა. გოლიათმა დიკი ჩასვა რკინის ციხეში და აწვდიდა პურსა და წყალს. დიკი არც სვამდა, არც ჭამდა, იმდენად იყო დამწუხრებული.

მოვიდა მეორე დღეს გოლიათი. ხედავს, რომ დიკს არც პურისათვის, არც წყლისათვის არ უხლია პირი. გაბრაზებულმა გოლიათმა გაუღო პირი და ძალათი ჩაუღო საუკმელი, მაგრამ არც მაშინ შეეცამა პატარა დიკმა.

მეორე დღეს კიდევ მოვიდა გოლიათი და უთხრა: — იმღერე!
მაგრამ ჩვენმა დიკმა არ იმღერა.



კაცი როგორ გაქვავდეს ამ სურათის მნახველი: შხეფი მომხვდა სახეში, ეს ლიახვის ნახველი! ამ ლიახვის ხმაური ახალისებს ხეობას, სამკურნალო მუავე წყლით ხარობს მოსახლეობა. ეს მთები და მდინარე, ნაძვის ტყე და ბილიკი, შეფენილი ცხვრის ფარა, სალამურზე ლირიკა. ეს მზის სხივი დაშლილი აბრეშუმის ძაფებით, ღამე მთვარე ვაშლივით ლიახვს რომ ეწაფება, ღამე ისე გაკრული, როგორც თონის ლავაში, — ეს სურათი დავხატე მთაზე სოფელ ჯავაში!

გიორგი სერხუღიძე

განსახ. 1-ლი სანიმ. სკოლის მოწ.

შემოდგომა

აცივდა ქარმა შემოკრა, გაფრინდა კიდევ ფრინველი, ბაღებში ხეხილს მწუხარედ გაჰყვითლებია ფოთოლი. მხიარულება თან გაჰყვა, ქარმა რომ ჩამოიბრინა,

— იმღერე! — კიდევ გაისმა გოლიათის ბრძანება. როდესაც გოლიათმა დაინახა, რომ ის არ მღეროდა, გაბრაზებულმა მოუჭირა დიკს ხელი კისერში.

საბრალო დიკი დაეცა და გამოეთხოვა წუთისათვის ფელს.

პატარა დიკი იყო ჩიტის, გოლიათი კი ბოროტი, შეუბრალებელი ვაჟი.

ელიზა აბრამიშვილი

მე-18-ე სკოლის მოწაფე

შემოდგომა

აი დადგა შემოდგომა,
შემოვიდა ხილი:
ვაშლი, მსხალი, ბროწეული,
ატამი და თხილი.

ყურძენი მთლად დამკვრახულა,
კრეფას ელის მალე,
რა კარგი ხარ, ბუდეშურო,
შენ კი გენაცვალე!

წვიმამ ყუყუნს მოუმატა,
მთიდან მოქრის ქარი,
ხეს ფოთლები გაუყვითლდა,
მწვანედ აღარ არი.

აი დადგა შემოდგომა,
მოიწია ხილი,
მალე ზამთარიც გვეწვევა,
ბუხარი გვაქვს თბილი.

კაკო შამათელი (ენისელი)

ქ. თელავის I სრ. საშ. სკ. 8 კლ. მოწ.



შემოდგომა

დამწიფდა ლეღვი, ატამი,
ყურძენმა გული ირბილა.
ოჰ, რა კარგია საღამოს
უხე ბაღში გავლა-გამოვლა,
ოთხ დროში ასე ღამაში
ნეტა ვიცოდე, რა მოვა?!
ნეტა ვიცოდე, რა მოვა?!



ნიმონ ბარბაქაძე

მთლითის ათწლეულის მოწაფე



ერვევიან აირწინალით სუნთქვას.

პირველი დახმარება



თვითდაცვის ჯგუფი სწავლობს
აირწინალს ბოგბატირევას ხელ-
მძღვანელობით

ტფ. 14 ურ. სკ. პიონერხელ-
მძღვანელი ამხ. რ. ტურაბოვი
ესაუბრება საბჭოს წევრებს „პი-
ონერსკაია პრავდას“ 10 წ.
იუბილეზე



იცი თუ არა?

დადის თუ არა მელა აბანოში?



— ჰა-ჰა-ჰა! არა, აბანოში კი არა, იქნებ ოპერაშიც დადის! — გადინახარებს ზოგიერთი მკითხველი, მაგრამ როგორ გგონიათ — შემცდარი არ იქნება? გარწმუნებთ, რომ მელასაც უყვარს სისუფთავე და აბანოში სიარული, მაგრამ, ცხადია, ჩვენაირ აბანოში კი არა.

აი რის მოწმე გახდენ ერთხელ ნატურალისტები, რომელნიც მდინარის პირას იყვნენ წამოწოლილნი და შორიდანვე შეამჩნიეს მათკენ ფრთხილად მომავალი მელა.

მელა ფეხაკრეფით მივიდა მდინარესთან მას პირში ეჭირა დიდი ნაფოტი. შევიდა თხელ წყალში და ისე ჩაცუკტა, რომ ტანის უკანა ნახევარი წყალში ჩამალა. ასე იყო ერთხანს, შემდეგ კი უფრო ღრმად შევიდა წყალში, ისე რომ მხოლოდ თავი უჩანდა. ერთხანს ამ მდგო-

მარეობაში იყო, მერე ნელნელა თავიც წყალში ჩამალა თითქო თავს იხრჩობსო, და ბოლოს ისე ჩაიყურყუმა, რომ ცხვირი და ნაფოტიც ჩანდა, შემდეგ ცხვირიც დამალა და ნაფოტი კი წყალს გაატანა, თვითონ ამოყო თავი, ამოვიდა წყლიდან, გამოვიდა ნაპირზე, შეიბერტყა ტანი და ნელა გაუდგა გზას.

საინტერესოა, რად მოიქცა მელა ასე?

მას რწყილი დასეოდა. ნახევარი ტანი რომ წყალში დამალა, რწყილები ზევით აცოცდენ, კისრამდის რომ ჩაიმაღა — რწყილები თავში გადასახლდენ, თავიც რომ წყალში ჩაყო — ნაფოტზე გადავიდოდენ, ნაფოტი წყალს გაატანა და რწყილებიდან დაიხსნა თავი, ამ აბანოს შემდეგ კი შეიფერთხა ტანი და გასუფთავებულმა გასწია თავისი გზით.

ჯავრიან გულზე თავში თავს ჩამოიხრჩობსო

ეს იყო მონღოლეთის საზღვარზე. მოხუცი მონღოლი ჯოხით თხრიდა თავის სოროებს და იქიდან იღებდა სხვადასხვა ძირკვებს.

— რად, გინდათ, ბიძია? — ჰკითხეს მას რუსმა მესაზღვრეებმა.

— ეკამთ, შვილო, ეკამთ, — უპასუხა მონღოლმა.

— კი, მაგრამ რატომ სულ არ ამოგილიათ, ამ სოროში ხომ კიდევ ბევრია.

— არ შეიძლება, ცოდოა: სულ რომ გამოვუცარიელო, თავი ჯავრზე თავს ჩამოიხრჩობს.

მესაზღვრეებმა გადაიხარხარეს, ეგონათ ბერიკაცი ხუმრობსო, მაგრამ მას ეწყინა მათი სიცილი და უთხრა:

— არ გჯერათ? წამოდით, გაჩვენებთ.

მართლაც მიიყვანა ერთ ბუჩქთან და აჩვენა ეკალზე ჩამოცმული თავი, მერე სხვა ბუჩქზე კიდევ ორი უჩვენა.

— არც ახლა დაიჯერებთ?

მესაზღვრეებმა ერთმანეთს შეხედეს.

— რაშია საქმე? მართლაც და ვის სცალია იმისთვის, რომ თავები დაიჭიროს და ბუჩქების ეკლებზე ჩამოაგოს...

— ჯავრზე თავს ჩამოიხრჩობს ხოლმე თავი, შვილო, დამიჯერეთ, — ჩიფჩიფობდა მოხუცი მონღოლი.

მესაზღვრეები გაოცებულნი იყვნენ:

გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ ამავე მესაზღვრეებმა ბუჩქებში შენიშნეს პატარა ჩიტი, რომელსაც რაღაც ეჭირა პირში. დაფრთხილობდა ჩიტი, აქეთ-იქით ენეთქებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო. დააკვირდენ და დაინახეს, რომ თავი ჰქონდა პირში. მონახა ბუჩქზე დიდი ეკალი და ზედ ჩამოაგო მკვდარი თავი.

— აჰა, ახლა კი ვიცი, როგორ იხრჩობს თავს თავი, — თქვეს გახარებულმა მესაზღვრეებმა.

ეს ჩიტი იყო ლაქო, რომელიც საზამთროდ იმარაგებდა საკვებს.



ა მ ო ც ა ნ ა

ყურძენი რაზე ასხია,
 მითხარით მისი სახელი,
 დაბრეცილ-დაგრებილია,
 ყველა ხართ მისი მნახველი.
 ნაპოვნს მიაბით ის ასო,
 რითაც ანბანი იწყება,



და ამის შემდეგ თქვენ ნახავთ,
 რომ სიტყვა გამოეწყობა...
 სადგურის სახელს მიიღებთ
 კახეთის მიმართულებით,
 სადაც ვერაფერს იშოვით,
 ბევრიც რომ გქონდეთ ფულები.

კ.წ. რატიშვილი

რ ე ბ უ ს ი



წარმოდგენილია მე-35 საშუალო სკ. VIII კლ. მოწ. ლილი გიორგოზიანის მიერ



წარმოდგენილია ტფ. მე-12 შრ. სკ. V კლ. მოწაფის სოსო ლომთათიძის მიერ